

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

კონფერენცია

ტერმინოლოგია – ქართული ენის  
სვალინდელი დღე

თბილისი  
2013

სარედაქციო საბჭო: ა. არაბული, შ. აფრიდონიძე, ო. გამყრელიძე,  
გ. გოგოლაშვილი, ნ. დათეშიძე, ლ. ეზუგბაია, თ. ვაშაკიძე,  
დ. თვალთვაძე, გ. კვარაცხელია, ნ. მუზაშვილი,  
მ. ოსაძე, ლ. პაპავა, ლ. ქაროსანიძე, მ. შანიძე, ი. ჯიბუტი

## რეგლამენტი

მოსვენება – 15 წუთი

მსჯელობა – 7 წუთი

## პროგრამა

### 11 ივნისი

- 10.00 **კონფერენციის გახსნა**  
შესავალი სიტყვა – თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი  
**ლალი ეზუგბაია**  
**ლია ქაროსანიძე** – ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალისდელი დღე  
**მისალმებები**  
**შესვენება**
- 11.00 – 13.30 I სხდომა  
თავმჯდომარეები: **ა. არაბული, ნ. მუზაშვილი**  
**ა. არაბული** – სპეციალური ტერმინოლოგიის ადგილისათვის განმარტებით ლექსიკონში  
**ო. გამყრელიძე** – ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგიის საკითხები  
**ვ. პაპავა** – თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია: ახალი პრობლემები და ძველი შეცდომები  
**ნ. მუზაშვილი, ი. ჯიბუტი** – ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალი რედაქციისათვის  
**გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე** – ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის გამოყენებისა და დახვეწის ზოგიერთი აქტუალური საკითხისათვის  
**თ. მარგალიტაძე, გ. მელაძე, გ. ხუნდაძე** – ორენოვან დარგობრივ ლექსიკონებზე მუშაობის პრობლემები და სირთულეები
- 13.30 – 14.30 **შესვენება**

14.30 – 17.00

II სხდომა

თავმჯდომარეები: **გ. გოგიშვილი, ლ. ქაროსანიძე**

**დ. მელიქიშვილი** – ძველი ქართული მწიგნობრული სკოლების გამოცდილების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული სპეციალური ტერმინოლოგიის განვითარებისათვის

**ი. კვაჭაძე, რ. შენგელია, ნ. კილაძე, თ. პეტრიაშვილი** – სამედიცინო ტერმინოლოგიის საკითხისათვის

**ც. ახვლედიანი** – საფრანგეთის ლინგვისტური პოლიტიკის ასპექტები XXI საუკუნეში

**გ. ანთელავა** – თურქული ტერმინოლოგიის განვითარების გზები

**მ. რობაქიძე** – საერთაშორისო ტერმინოლოგიის სომხური ეკვივალენტები

**რ. რამიშვილი** – ენობრივი პოლიტიკა ირანში

## 12 ივნისი

10.00 – 13.00

I სხდომა

თავმჯდომარეები: **თ. ვაშაკიძე, ი. ჯიბუტი**

**ა. არაბული, თ. ვაშაკიძე, თ. ბურჭულაძე** – ქართული ენის სიტყვათმემოკლებათა ლექსიკონი (აგების პრინციპებისათვის)

**რ. სვანიძე, რ. სხირტლაძე, ა. ლლონტი** – კავშირგაბმულობის ინგლისურ- რუსულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი

**ო. მაგნიძე** – ქართული მათემატიკური ტერმინების ფორმირების ისტორიისთვის

**ა. ბაქრაძე** – ინგლისურ-ქართული სამეანო-გინეკოლოგიური ლექსიკონი

**გ. სარაჯიშვილი** – „ტექნიკური ტერმინოლოგია“ (1920წ.) და მათემატიკური ტერმინები

**ზ. გიგინეიშვილი** – რაგბის ქართული ტერმინოლოგიისათვის

---

13.00 – 13. 30 შესვენება

13.30 – 16.30 II სხდომა

თავმჯდომარეები: **შ. აფრიდონიძე, მ. ოსაძე**

**თ. მახაროზლიძე** – ტერმინთა პრობლემა ქართულ ჟესტურ ენაში

**თ. მიქაძე** – ორთოდონტიის სამეცნიერო ენის პრობლემები

**ს. ოშიაძე** – ლექსემა „ტერმინის“ ხმარებისათვის

**შ. აფრიდონიძე** – დარგობრივი ტერმინოლოგიის თემატური ჯგუფების გაფორმებისათვის (გეოგრაფიული ტერმინოლოგიის მაგალითზე)

**ნ. ჯორბენაძე** – ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისა და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხები (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა)

**ი. გაგუა, მ. დანელია, ე. კობახიძე, ნ. რუხაძე** – ლათინური წარმომავლობის იურიდიული ტერმინები

### 13 ივნისი

10.00 – 13.00

I სხდომა

თავმჯდომარეები: **რ. ზექალაშვილი, ს. ოშიაძე**

**მ. ბაბუხაძია** – რითი გვემუქრება ტერმინოლოგიის ხელყოფა?

**რ. ზექალაშვილი** – ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის ზოგიერთი მოსაგვარებელი საკითხი

**ვ. იმნაიშვილი** – ა-ფუძიანი სახელების ერთი განსაკუთრებული ჯგუფის კვეცისთვის

**თ. ებანოიძე** – რამდენიმე ახალი და „ძველი“ სიტყვა-ტერმინის შესახებ

**ნ. ჭოხონელიძე** – ზოგი ძველი ნასესხები სამედიცინო ტერმინის ისტორიისათვის

**ა. მესხი** – შუმერული მეტროლოგია და ქართველური ენები

13.00 – 13.30      **შესვენება**

13.30 – 16.00      II სხდომა  
თავმჯდომარეები: **ნ. დათეშიძე, ნ. ჭუმბურიძე**

**მ. ბერიძე, ზ. კიკვიძე** – კორპუსის ლინგვისტიკის მეტაენობრივი ოდენობები და მათი თეზაურუსული მიმართებები

**ნ. დათეშიძე, მ. ოსაძე** – შიდა და შიგა მსაზღვრელიან ტერმინთა დაზუსტებისათვის

**ნ. ჭუმბურიძე** – საწყისებით შექმნილი ტერმინოლოგიური შესიტყვებები

**მ. ბუკია** – ენათა შერევის ტენდენცია ზანურ დარგობრივ ლექსიკაში

**ნ. ტონია** – ანტიკური ხანის საკუთარი სახელები ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში

## გიორგი ანთელავა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### თურქული ტერმინოლოგიის განვითარების გზები

თურქული (ანატოლიური) სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის დიდ ნაწილს შეადგენს უცხოენოვანი ნასესხები სიტყვა-ტერმინები. ნასესხები ლექსიკა წარმომავლობის მიხედვით წარმოდგენილია არაბული, სპარსული, იტალიური, ბერძნული, ფრანგული, გერმანული, ინგლისური და სხვ. სიტყვებით. ამათგან უმთავრესი ადგილი არაბულ და სპარსულ ლექსიკურ-გრამატიკულ ელემენტებს უკავია. არაბული ენა ისლამის ენაა. ყურანთან ერთად თურქულში შემოვიდა არაბული ანბანი და არაბული ენა, როგორც რელიგიის, მეცნიერების, სამართლის, სკოლის, ადმინისტრაციის ენა, რამაც განაპირობა თურქულში არაბული რელიგიის, სამართლის, ყოფითი ტერმინოლოგიის დამკვიდრება.

თურქული ენის სალექსიკო ფონდზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სპარსულმა ლიტერატურამ, რომლის „ტყვეობაში“ იყვნენ შუა საუკუნეების თურქი პოეტები.

მე-15 საუკუნიდან, იტალიის რესპუბლიკებთან ინტენსიური ურთიერთობების შედეგად, თურქულ ენაში შემოდის იტალიური ლექსიკის მნიშვნელოვანი რაოდენობა, წარმოდგენილი სავაჭრო, საზღვაო, ფინანსური, სამრეწველო და ა.შ. სიტყვებითა და ტერმინებით.

ბერძნული ლექსიკა თურქულში დაიღეჟა თურქების ბერძნებთან ხანგრძლივი ურთიერთობების მანძილზე. იგი წარმოდგენილია საზღვაო, სანაოსნო, ყოფითი და ქრისტიანული საეკლესიო სიტყვა-ტერმინების შედარებით დიდი რიცხვით.

მე-18 საუკუნის დამლევს თურქულ ენაში შემოსვლას იწყებს ფრანგული ლექსიკა. ეს პროცესი ინტენსიურად გრძელდებოდა მე-20 საუკუნის ოციან წლებამდე. ფრანგულიდან თურქულში შემოვიდა სამხედრო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ხელოვნების, ყოფითი რეალიების გამომხატველი უამრავი სიტყვა, რამაც მკვლევარებს ათქმევინა, რომ „ფრანგული თურქეთში მეორე ენაა“.

მე-19 საუკუნის დამლევს თურქულში მცირე რაოდენობით შემოდის გერმანული და ინგლისური ლექსიკა (ანგლიციზმები განსაკუთრებული ინტენსივობით ენაში ადგილს დღეს იკავებენ).

ქემალისტურმა რევოლუციამ დააჩქარა ქვეყანაში რიგი მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელება, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანბანის რეფორმაა. 1932 წლის 12 ივლისს ათათურქის ინიციატივით დაარსდა თურქული საენათმეცნიერო საზოგადოება, რომელიც აქტიურ სამეცნიერო და პროპაგანდისტულ მოღვაწეობას ეწევა თურქული სალიტერატურო ენის „გასამარტივებლად“, რაც გულისხმობს მის „გათავისუფლებას“ უცხოური ლექსიკის ბატონობისაგან. თუმცა, მიუხედავად საზოგადოების გულმოდგინე მცდელობისა, თანამედროვე თურქულში ჭარბად შემოდის უცხოური (ევროპული) ლექსიკა. ბოლო ხანებში გახშირდა არაბიზმების გამოყენება, რაც, ვფიქრობთ, პირდაპირ უკავშირდება თურქეთის რესპუბლიკის, მისი კონსტიტუციით საერო სახელმწიფოს, დღევანდელი ხელისუფლების აშკარა ისლამისტურ განწყობას.

### **ავთანდილ არაბული**

ოსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

### **სპეციალური ტერმინოლოგიის ადგილისათვის განმარტებით ლექსიკონში**

დღეს უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მწყობრი და სახელმწიფოებრივად გამართული ტერმინოლოგიური პოლიტიკისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ სალექსიკონო პრინციპებს, რაც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რეატიმეულს დაედო საფუძვლად. კერძოდ კი, განმარტებით ლექსიკონში სპეციალური ტერმინოლოგიის ასახვასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ორი ფუნდამენტური პრინციპი იქცევს ყურადღებას:

1. სპეციალური ტერმინოლოგიის შერჩევითი ასახვა საერთო ლექსიკურ ფონდში და

2. დარგობრივი ლექსიკის მაქსიმალური გათვალისწინება განმარტებითი ლექსიკონის სავალდებულო სიტყვანში.

ორივე ამ მიდგომას თავისი ახსნა აქვს და მისი საფუძველი სწორედ ღრმად გააზრებულ ენობრივ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ.

როგორც ცნობილია, სპეციალური ტერმინოლოგია, რომელიც ამა თუ იმ



პროფესიულ სფეროს ეკუთვნის, ქმნის ავტონომიურ ცნებით სისტემას ანუ სპეციალურ ენას. ამ სპეციალური ენის მხოლოდ ის ნაწილი იკაფავს გზას საერთო-სახალხო ენისაკენ, რომელიც, არსებული სოციალური თუ სამეურნეო პირობებიდან გამომდინარე, საყოველთაო გამოყენების ხდება. ამავე დროს, ამა თუ იმ დარგის ტერმინთა მეტ-ნაკლები გავრცელებულობა პირდაპირ არის დამოკიდებული ეპოქის საერთო ტენდენციებზე და ამა თუ იმ პროფესიული სფეროს რეალურ როლზე შესაბამის დროსა და სივრცეში. ამდენად, კანონზომიერი ობიექტური რეალობაა ის, რომ გასული საუკუნის პირველი ნახევრის ენობრივი ვითარების ამსახველი ქეგლის რვატომეული ბევრად უფრო ღარიბად გამოიყურება სპეციალური ტერმინოლოგიის ასახვის თვალსაზრისით, ვიდრე ამავე ლექსიკონის ახალი რედაქცია. კერძოდ, ამ მონაცემების მიხედვით სრულიად აშკარად ჩანს, რომ, მაგალითად, XX ს-ის I ნახევარში სამედიცინო ტერმინოლოგია საკმაოდ მოკრძალებულ როლს თამაშობდა საერთო ენობრივ ურთიერთობებში მაშინ, როცა დღევანდელ ცხოვრებაში სამედიცინო და სამკურნალწამლო ნომენკლატურა ლამის საყოველთაო გამოყენებისაა; ასევე შეუდარებლად გაიზარდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, კერძოდ, ელექტრონული ტერმინოლოგიის წილი თანამედროვე ინტელექტუალურსა და სამოქალაქო ურთიერთობებში; განუზომლად გააქტიურდა სამართლებრივი ტერმინოლოგია – თანამედროვე ღია დემოკრატიული პროცესების შესაბამისად და სხვ.

ყოველივე ეს განაპირობებს სპეციალური ტერმინოლოგიის ფარდობითი წილის ზრდას საერთო ლექსიკურ ფონდში, ანუ ენის ამ ლექსიკური ფონდის არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ თვისობრივ სისტემურ ცვლილებას. თუმცა არც ამას გამოუწვევია ტერმინოლოგიის ტოტალური შეჭრა „განმარტებითი ლექსიკონის“ საკონტროლო სიტყვანში. შეიძლება ითქვას, განმარტებითი ლექსიკონი ასრულებს ერთგვარი ფილტრის როლს სპეციალურ ენებსა და საერთოეროვნულ ენას შორის.

ამავე ვითარების გათვალისწინებით ქეგლის ახალი რედაქციის წინათქმაში მითითებულია გარკვეულ ცვლილებაზე ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ საკვალიფიკაციო მითითებებში: „ტექნიკური ცივილიზაციის განვითარების იმ ტემპებმა, რაც ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართული ენის წიაღშიც ხელშესახებად აღიბეჭდა, არსებითად შეცვალა უცხო სიტყვებისადმი დამოკიდებულება იმ ეპოქასთან შედარებით, როდესაც ქეგლის I ტომი გამოიცემოდა... ამიტომაც უთუოდ საგრძნობია სპეციალური ტერმინოლოგიის რაოდენობის გაზრდა ქეგლის ახალ რედაქციაში. ამავე დროს, აღნიშნულიდანვე გამომდინარე,

ამგვარ ლექსიკას უპირატესად მოხსნილი აქვს ვიწრო დარგობრივი კვალიფიკაცია; ხოლო გარკვეულ შემთხვევებში (დარგთაშორისი გამოყენების, ანდა საზოგადო მნიშვნელობის ქვემნიშვნელობად გამოვლენის დროს) რჩება უფრო ზოგადი კვალიფიკაცია – „სპეციალური“ [სპეც.].

რაც შეეხება დარგობრივი ტერმინოლოგიის მაქსიმალური სისრულით ასახვას განმარტებით ლექსიკონში, ამგვარ მიდგომას განაპირობებდა ისეთი სტრატეგიული ცნება ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით, როგორცაა „სარეზერვო ფონდი“. ამ ფონდს ძირითადად ქმნის ისტორიული სამეურნეო-კულტურული დარგების მიხედვით ფუნქციონალურად დატვირთული ლექსიკური ერთეულები, რომელთა სარეზერვო ღირებულება სწორედ მათს სპეციალურ ტერმინოლოგიურ გააქტიურებას უკავშირდება. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად ქეგლის მთავარი რედაქტორის წინასიტყვაობაში მითითებულია **ლილვი** სიტყვის ისტორია, რომელიც საბას „ბადის საქსოვი ჩხირიდან“ და გურული „ურმის ღერძიდან“ მნიშვნელოვანი დატვირთვის ტერმინოლოგიურ ერთეულად მოგვევლინა მანქანათმშენებლობის სფეროში.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის, თუ როგორ აისახება სპეციალური ტერმინოლოგია (ამ ტერმინოლოგიის აუცილებელი ნაწილი) განმარტებითი ლექსიკონის სიტყვა-სტატის სტრუქტურაში.

ამ ამოცანის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ ტერმინოლოგიური ცნება და მისი დეფინიციური განსაზღვრება მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულის ნომინალური განმარტებისაგან. განმარტებითმა ლექსიკონმა კი ორგანულად უნდა შეახამოს (არცთუ იშვიათად) ერთი და იმავე სიტყვის ეს ორგვარი (ან – მეტგვარი) ენობრივი გამოვლენა.

სანიმუშოდ – ერთი პარალელი ტერმინის ცნებითს განსაზღვრებასა და მის სალექსიკონო განმარტებას შორის (მოვიხმობთ მხოლოდ განმარტებებს):

**გარღვევა** (სამხ.) შეტევაზე გადასული ჯარების მიერ მტრის წინასწარ მომზადებული ან ნაჩქარევად დაკავებული თავდაცვითი პოზიციის გადალახვა და მისი ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის განადგურება (ქსე).

**გარღვევა** (გარღვევისა) სახელი **გ ა ა რ ღ ვ ე ვ ს**, **გ ა ი რ ღ ვ ე ვ ა** ზმნათა მოქმედებისა. – 1. ნაკერის ან ნაქსოვის დაშლა, ერთმანეთისაგან მოცილება. 2. განგრევა, დაშლა. || ძალის გამოყენებით გავლა. || გადატ. პროგრესი, წარმატება რაიმე მცდელობაში. 3. სპეც. მტრის დაცვის

ხაზის გადალახვა. || წინ გაჭრა სპორტულ თამაშში. 4. სპეც. ჩავარდნა, ჩამორჩენა. 5. სპეც. ბაზარზე საქონლის ფასის მოულოდნელი მკვეთრი ცვლილება.

განმარტებით ლექსიკონში ტერმინოლოგიური მონაცემის ლექსიკურ-სემანტიკური ასახვის თვალსაზრისით, არაერთი შესაძლებელი ვარიანტისაგან, სამი ძირითადი შემთხვევა უნდა განვიხილოთ:

1. ყველაზე მარტივად წარმოდგება პრობლემა იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული ტერმინი მონოსემიური და მონოფუნქციურია (მხოლოდ ერთ დარგს ეკუთვნის). ამ შემთხვევაში მაქსიმალურად უახლოვდება ერთმანეთს შესაბამისი ერთეულის ტერმინოლოგიური და განმარტებითი „აღწერა“; განსხვავება მხოლოდ ილუსტრირებაშია. მაგ.:

**აქსელერაცია** [ლათ. acceleratio აჩქარება] ბავშვთა და მოზარდთა სქესობრივი მომწიფებისა და ფიზიკური განვითარების ობიექტური აჩქარება.

2. უფრო რთულდება საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე ტერმინი რამდენიმე დარგში ფუნქციონირებს და აუცილებელი ხდება ამ მონაცემების ერთ სტატიაში შეჯერება; მაგ.:

**რეაქცია** (რეაქციისა) [ფრან. reaction: ლათ. re საპირისპირო და actio მოქმედება] 1. პასუხი რაიმე ზემოქმედებაზე, რისამე საპასუხო მოქმედება, მდგომარეობა, პროცესი. დეკადენტობა იყო პირდაპირი რეაქცია რეალისტური ლიტერატურის წინააღმდეგ („ლიტ. ხელოვნ.“). 2. ფიზიოლ. ფსიქ. ორგანიზმის საპასუხო მოქმედება გარეგან ან შინაგან გაღიზიანებაზე. პავლოვმა წამოაყენა მატერიალისტური მოთხოვნა ცოცხალ ორგანიზმზე გარე სამყაროს ზემოქმედებისა და ამ ზემოქმედებისადმი ცოცხალი ორგანიზმის საპასუხო რეაქციების ზუსტად მეცნიერული დაპირისპირებისა („კომ.“). 3. პოლიტ. საზოგადოებრივი პროგრესისათვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევა; პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ცდილობს დაიცვას და განამტკიცოს დრომოჭმული საზოგადოებრივი წესები; გამოიხატება რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში, დემოკრატიულ უფლებათა შეზღუდვაში, პროგრესულ პოლიტიკურ მოღვაწეთა დევნაში, რასობრივ და ეროვნულ ჩაგვრაში. შავი რეაქცია. – მთელი პროგრესული კაცობრიობა... უფრო და უფრო აქტიურად გაშლილ ბრძოლას ეწევა მსოფლიო რეაქციის ძალების წინააღმდეგ („ახ. კომ.“). 4. ქიმ. ორი ან რამდენიმე ნივთიერების ურთიერთმოქმედება, რომლის შედეგად

გად წარმოიშვება ახალი ნივთიერება. საჭმლის მონელებისას ფერმენტები კატალიზატორის, ე. ი. საჭმლის მონელების დროს წარმოებული ქიმიური რეაქციების დამჩქარებლების როლს ასრულებენ („მეფრინველ.“). 5. წიგნ. გადატ. ძლიერი აგზნების შემდეგ ძალ-ღონის გამოცლა, დაუძლურება.

შდრ.: ქსე-ში ამ ტერმინს ოთხი სტატია ეძღვნება.

3. განსაკუთრებულ ამოცანად წარმოდგება ის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის ტერმინოლოგიური დატვირთვა რომელიმე ჩვეულებრივი სიტყვის სტანდარტული ფორმა-წარმოების ერთ-ერთ კონკრეტულ პრეცედენტს ეთავსება და ერთმა სალექსიკონო სტატიამ უნდა ასახოს ეს ორივეგვარი (ან – მეტგვარი) ვითარება; მაგ.:

**გაორება** (გაორებისა) სახელი გა ა ა ო რ ე ბ ს, გა ო რ დ ე ბ ა ზმნათა მოქმედებისა. – 1. ორად ქცევა, – გაორმაგება. გაორკეცება. 2. წიგნ. გადატ. ორი ბუნებისად გახდომა; ერთმანეთის საწინააღმდეგო განცდების, შეხედულებათა ქონა. ხისა და მებაღის არ იყოს, აქაც ძნელად წარმოსადგენ გაორებასთანა გვაქვს საქმე (ო. ჭილ.). რუსთაველთან არ არის პიროვნების გათიშვა, მისი გაორება (რ. მარგ.). საზოგადოების ინტელექტუალური წრეები შინაგან გაორებას განიცდიან („დრონი“). ადამიანური და დემონური – ეს ორი საწყისი პარალელურად მოქმედებდა და სულის გაორებას კი არ ქმნიდა, არამედ მუშნი ზარანდიას... ნატურის მთლიანობის შედეგი იყო (ჭ. ამირეჯ.). 3. სპეც. ფსიქიკური მდგომარეობა, რომლის დროსაც ავადმყოფის მიერ საკუთარი პიროვნება აღიქმება როგორც გაუცხოებული დაკვირვების ობიექტი (ფსიქ. ენც.). 4. სპეც. ბეჭდვის პროცესში სხვადასხვა მიზეზით (არასწორი სისქის კედელი, მანქანის გაუმართაობა...) წარმოშობილი დეფექტი – საბეჭდი ელემენტების კონტურების გაორება (საგამომც. ლექს.). მხედველობის გაორება სპეც. საგნის გაორებულად დანახვა, – დიპლოპია.

თუ ყოველივე ამას იმასაც დავუმატებთ, რომ არცთუ იშვიათად თვით ტერმინოლოგიურ ერთეულებს ახლავს საკმაოდ მრავალფეროვანი ფორმაწარმოებითი და სიტყვაწარმოებითი სისტემა (მაგ.: განათება – გამნათებელი – გასანათებელი... განათლება – განათლებული – განმანათლებელი – გაუნათლებელი...), აშკარა გახდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს განმარტებითი ლექსიკონის მთლიანი სისტემის შექმნაში სალიტერატურო (სახელმწიფო) ენის ძირითადი ტერმინოლოგიური აქტივის ასახვა.

ავთანდილ არაბული, თამარ ვაშაკიძე, თეა ბურჭულაძე

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

## ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი (აგების პრინციპებისათვის)

უძველესი დროიდან მწიგნობრულ ენებში სიტყვათა შემოკლებას მასა-ლისა (ეტრატის, ქალაღდის...) და დროის ეკონომიის მიზნით მიმართავდნენ. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო ჩანს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული დაქარაგმების წესები (რ<sup>ა</sup> – რაღთა, ვ<sup>ა</sup> – ვი-თარცა, ღ<sup>ი</sup> – ღმერთი...).

თანამედროვე ეტაპზე სიტყვათა შემოკლება სამეცნიერო-ტექნიკური სტილის ერთგვარ მახასიათებლად იქცა. პრესა, ტელე- და ინტერნეტსივრცე, რეკლამები, აზრებზე გამოფენილი წარწერები, საკანონმდებლო ენა, ოფიცია-ლურ-საქმიანი დოკუმენტები, სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ნაშრომები თუ პროექტები სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ის სფეროებია, რომლე-ბიც სიტყვათშემოკლებათა მთელ სისტემას წარმოგვიდგენს.

ქართულში სიტყვათა შემოკლების რამდენიმე სახეობა გვაქვს:

ა) ნებისმიერი სიტყვის შემოკლება (მაგ., მისამართის მითითების დროს: **კვარტ.** – კვარტალი, **სართ.** – სართული...);

ბ) სახელისა და მამის სახელის (ზოგჯერ გვარისაც) ინიციალებით გამოხატვა (**ა.** წერეთელი, **ივ.** ჯავახიშვილი, **ლ. ნ.** ტოლსტოი, **ი. ჭ.**);

გ) სხვადასხვა სახის ტექსტობრივი შემოკლებანი (**გვ.** – გვერდი, **შდრ.** – შეადარე, **ე. წ.** – ეგრეთ წოდებული...);

დ) წოდებათა და თანამდებობათა აღმნიშვნელი სახელების შემოკლებანი (**აკად.** – აკადემიკოსი, **ლაბ.** – ლაბორანტი...);

ე) დროის, წონისა და სიგრძის საზომთა გამომხატველი სახელების შემოკლებანი (**წმ.** – წამი, **სთ.** – საათი, **გ.** – გრამი, **სმ.** – სანტიმეტრი...) და სხვ.

სიტყვათშემოკლების განსხვავებული სახეობაა აბრევიატურები. ამ შემთხვევაში ორი ან რამდენიმესიტყვიანი სახელწოდება მოკლდება შემადგენელ სიტყვათა პირველი ასო-ბგერებისა თუ მარცვლების (აგრეთვე ბგერათ-კომპლექსების) შეერთებით (**თემქა** – თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, **ჰესი** – ჰიდროელექტროსადგური...).

თანამედროვე ქართულში საკმაოდ მრავლად დასტურდება უცხო ენებიდან შემოსული აბრევიატურები (**იუნესკო** – UNESCO: United Nations Educational, Scientific and Cultural Organization – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში; **ერ-ტე-ერი** – РТР – Российское телерадиовещание...).

პრესაში, რეკლამებსა და ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში აბრევიატურები დიდი სიჭრელით ხასიათდება. დასტურდება წერტილებიანი (**ა. პე. ენი.**) ან უწერტილო და ერთად დაწერილი (**აპენი**), დეფისებიანი (**ენ-ტე-ვე**) ან უდეფისო (**ენტევე**), ბრჭყალებიანი („**ოპევი**“) ან უბრჭყალებო (**ო-პე-ვი**) ვარიანტები (**ა-პე-ენი** – АПН: Агентство печати „Новости“ – რუსეთის საინფორმაციო სააგენტო; **ენ-ტე-ვე** – НТВ: Независимое телевидение; **ოპევი** – ОPEC: Organization of Petroleum Exporting Countries – ნავთობის ექსპორტიორი ორგანიზაცია).

შეცდომები კიდევ უფრო იმატებს, როცა აუცილებელია აბრევიატურების ბრუნვის ნიშნებითა და თანდებულებით გაფორმება. მაგ., შეიძლება შეგვხვდეს: **სიენენ-მა**, **სი-ენ-ენ-მა**, „**სი-ენ-ენ-ი**“-**მ**, „**სიენენ**“-**იმ**, „**სიენენი**“-**მ**; „**სიენენ**“-**ზე**, **სი-ენ-ენ-ზე**, „**სი-ენ-ენ-ი**“-**ზე**... (**სი-ენ-ენი** – CNN: Cable News Network – აშშ-ის ახალი ამბების სატელევიზიო კომპანია).

**ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონის** აუცილებლობა უდავოა.

1. ლექსიკონში გათვალისწინებული იქნება სიტყვათშემოკლების ყველა სახეობა. თითოეულ ორთოგრამას (შემოკლებულ სიტყვასა თუ სიტყვებს) მიეწერება შესაბამისი გაშიფრული ვარიანტი (მითითებული იქნება მათი უცხოური სრული დასახელებაც), მაგ., **სმამ** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე; **ფიდე** – FIDE: Fédération Internationale des Échecs – ჭადრაკის საერთაშორისო ფერედრაცია...

2. დამოუკიდებელ სიტყვებად ქცეულ აბრევიატურებს ფრჩხილებში მითითება ბრუნვის ნიშნებით, თანდებულებით, ნაწილაკებით, აგრეთვე – თანდებულებითა და ნაწილაკებით გაფორმებული ვარიანტები. საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნება მოკლე კომენტარი თუ რეკომენდაცია, მაგ., **თელასი**, მოთხრ. **თელასმა**, მიც. **თელასს(ა)**, ნათ. **თელასის(ა)**, მოქმ. **თელასით(ა)**, ვით. **თელასად**; **თელასში**, **თელასზე**, **თელასისავით**, **თელასთან**, **თე-**

ლასის(ა)გან, თელასის(ა)კენ, თელასის(ა)თვის, თელასიდან, თელასამდე; თელასიც, თელასმაც, თელასსაც...

3. ტიპობრივი შეცდომები გასწორებული იქნება „და არა“ და „კი არა“ აღნიშვნათა გამოყენებით, რაც შესაძლებლობას მისცემს მომხმარებელს, საინტერესო სიტყვა იპოვოს არა მხოლოდ სწორი, არამედ უმართებულო ფორმის მიხედვითაც (მეტადრე მაშინ, როცა მართებული და მცდარი ვარიანტების ანბანური რიგი ერთმანეთს არ ემთხვევა). მაგ., **სი-აი-ეი** [და არა **ცე-ერ-უ, ცეერუ, ცე-რე-უ**]. ასო-ბგერა **ც-ზე** იხილავთ: [**ცე-ერ-უ, ცეერუ, ცე-რე-უ** კი არა] **სი-აი-ეი** (CIA: Central Intelligence Agency – [აშშ-ის] ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო).

4. მართებულ ფორმებს ფრჩხილებში მიეწერება დასაშვები ვარიანტებიც (ასეთის არსებობის შემთხვევაში): **კა-გე-ზე** (// **კაგეზე**) (ფუძეუკვცელია: ნათ. **კა-გე-ზეს(ი)**, მოქმ. **კა-გე-ზეთი...**) – **КГБ**: Комитет государственной безопасности – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.

შემოთავაზებული ნაშრომი (**ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი**) იქნება პირველი ამ სახის ლექსიკონი საქართველოში.

## **შუქია აფრიდონიძე**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **დარგობრივი ტერმინოლოგიის თემატური ჯგუფების გაფორმებისათვის (გეოგრაფიული ტერმინოლოგიის მაგალითზე)**

როგორც ირკვევა, 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება შემთხვევითი თანხვედენა არ ყოფილა: ერთი მხრივ, დიდ პოლიტიკურ აქტს ადეკვატური საზოგადოებრივ-სამეცნიერო ინსტიტუტები შეეფერებოდა; მეორე მხრივ, უნივერსიტეტის მუშაობის წარმატება დიდად იყო დამოკიდებული ქვეყნის სახელმწიფოებრივი სტატუსის რეალურ ამოქმედებაზე. უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზის შექმნისა თუ არსებულის შემდგომი გაფართოება-განმტკიცების აუცილებლობამ პირველი რიგის ამოცანად დააყენა **სამეცნიერო ტერმინო-**

**ლოგის** შექმნის საკითხი. 1921 წელს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით შეიქმნა ტერმინოლოგიური კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამ წამოწყების ინიციატორი. მოგვიანებით მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩამოყალიბდა საგანგებო უჯრედი სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების სახით, რომელსაც უძღვებოდა ვუკოლ ბერიძე (მისი გარდაცვალების შემდეგ – რ. ღამბაშიძე)

ტერმინოლოგიური მუშაობის ავანგარდში ე. წ. ტექნიკურ დარგებს შორის აღმოჩნდა მათემატიკისა და სპორტის ტერმინოლოგიები, რომლებიც ყურადღებას იპყრობდა არა მარტო ეროვნული ლექსიკის მაქსიმალური გამოყენებით და გამოსახატავ შინაარსთან ტერმინთა მისადაგების მაღალი ხარისხით, არამედ შიდასისტემურობითაც. ქვესისტემებში მსგავსი სიტყვაწარმოების გამოყენება უაღრესად მოქნილს და ამიტომ მოსახმარად ადვილს ხდიდა ამ ტერმინოლოგიას (რად ღირს თუნდაც **სამრავლ-მამრავლ-ნამრავლის**, ანდა **მრიცხველ-მნიშვნელის** ტიპების არსებობა!).

წინამდებარე ნაშრომის განხილვის საგანია გეოგრაფიული ტერმინოლოგია. ერთ-ერთი პროდუქტიული სუფიქსი გეოგრაფიული ტერმინებისა არის **-ობ** ბოლოსართი (ფერდობი, გვერდობი, ყანობი...), მაგრამ ყველა სახის ტერმინებზე აქ არ შეეზერდებით. ამ დარგის თემატური ჯგუფებიდან შევეხებით ზოგიერთს, რომლებიც ტოპონიმიკური ნომენკლატურის მნიშვნელოვანი მასაზრდოებელია. განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს შერეული რელიეფის, ხეობების ამსახველი ტერმინები, მდინარეების გაყოლებაზე, ტბების ან მთების გაღმა-გამოღმა მდებარე ტერიტორიების აღმნიშვნელი ტერმინები და მისთ.

ამგვარი მასალა საკმარისად მოიპოვება ყოფილი საბჭოთა კავშირის (რიგ შემთხვევაში აგრეთვე საქართველოს) გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში.

დავიწყოთ ჯერ მარტივი შედგენილობის ტერმინებით, როგორებიცაა მდინარის ზემო ან ქვემო წელის მიმდებარე ხეობების სახელები. ისინი საბჭოთა პერიოდში სათანადო რუსული ტერმინების შემოქმედებითი ათვისებით შეიქმნა, მათი მარჯვე გადმოქართულება შესაძლებელი გახდა ნაწილობრივ იმ ტოპონიმთა საფუძველზე, რომლებიც უკვე არსებობდა ქართულ ტოპონიმიკურ ნომენკლატურაში. ასეთი მარჯვე, ამასთან, ანტონიმურად დაპირისპირებული ტერმინებია **ზემოთი** და **ქვემოთი**, რომლებიც რუსულში გადმოიცემა, როგორც შესაბამისად **верховье** და **низовье**. ამ მოდელის (ე. ი. **-ოთ** დაბოლოებიანი)



ტოპონიმები საქართველოს ოიკონიმიაშიც გვხვდება (მაგ., ბობოთი), თუმცა არა ისე ხშირად, როგორც **-ეთ** (მთელი საქართველოს ტერიტორიაზე), **-ათ**, **-უთ** (უფრო დას. საქართველოში, მაგ.: კახათი, ლანჩხუთი) და **-ით** (შიდა ქართლში, მაგ., ნიგოთი) დაბოლოებიანი ერთეულები.

სხვა შემთხვევებში უფრო ხშირია კომპოზიტური გაფორმება, როცა რუსულში იხმარება წინდებულებიანი კონსტრუქცია. მაგ., რუსული ტერმინი пригорье ქართლში გადმოდის, როგორც **მთისწინეთი** (ე.ი. მთა სახელზე ცალკე მდგომი წინ თანდებულის დართვით და კომპოზიტური გაფორმებით).

უფრო თამამი და შემოქმედებითი აღმოჩნდა ტერმინთა წარმოება დიდი მდინარის მიმდებარე ტერიტორიის აღსანიშნავად, რომელიც **-ეთ** სუფიქსის დართვით პოსტპოზიციურად იხმარება როგორც წყლის, ისე ტყის მიმართ (შდრ.: წყლის პირი, ტყის პირი), რამაც მოგვცა ისეთი ვრცელი ტერიტორიის აღმნიშვნელი მაკროტოპონიმები, როგორებიცაა: **ვოლგისპირეთი**, **ამურისპირეთი**, **დნესტრისპირეთი** და მისთ. სათანადო რუსულ სახელწოდებებში მდინარის სახელის წინ იხმარება წინდებული **по-**, რომელიც მომდევნო საკუთარ სახელს (ვოლგას, ამურს, დნესტრს...) აცლის მთავრულს - საკუთარი სახელის ძირითად ნიშანს - და ამ ფუნქციას თვითონვე ითვისებს და ითავსებს. რაც მთავარია, კომპონენტი **-პირეთი** მონაწილეობს იმ სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიულ-პოლიტიკური გაერთიანების შემადგენელ სახელშიც, როგორიცაა **ბალტიისპირეთი** (რუსულად Прибалтика), ოღონდ ამჯერად იგი მდინარის კი არა, ზღვის სახელს დაერთვის.

ბუნებრივი ბარიერების - მთისა თუ ქედის, ანდა წყლის (მდინარის, ტბის) გაღმა ტერიტორიების მისანიშნებლად, რომლებსაც რუსული **За-**, ხოლო ევროპული ენები **Trans-** წინდებულებით აღნიშნავენ, ქართული ტრადიცია **იმიერ-** წინდებულს ამჯობინებს. ასე გადმოვიდა რუსული **Закавказье** ქართულში **იმიერკარპატეთ-**ად, **Забайкалье** კი - **იმიერ-ზაიკალეთ-**ად და მისთ.

რაც შეეხება მაკროტოპონიმებს - **ამიერკავკასია-**ს და **იმიერკავკასია-**ს, ისინი ქართული სახელწოდებებია ამ ობიექტების განსხვავებული ორიენტაციიდან ამოსვლით. რუსული **Закавказье** და ევროპული **Transcaucasus** გვიჩვენებს ამავე ობიექტებს ევროპის ცენტრიდანული ორიენტაციის გათვალისწინებით, მაშინ, როცა ქართველისათვის **იმიერკავკასია** ნიშნავს კავკასიონს გადაღმა ტერიტორიას, რომელიც რუსეთის ფედერაციას ეკუთვნის, ამიერკავკასიაში კი ქართველი გულისხმობს საქართველოსთან ერთად სომხეთსა და აზერბაიჯანს. სწორედ ამიტომ მიიჩნევა ბოლო ხანებში აქტუალურად საკითხი

ამ მაკროტოპონიმებში მსაზღვრელებად ყველასათვის გასაგებ და ერთ-მნიშვნელოვან მსაზღვრელთა – **ჩრდილოეთისა და სამხრეთის** - გამოყენების უპირატესობის შესახებ (აკი ამავე მიზეზით გარდაიქმნა აზიის ერთ-ერთი სახელმწიფოს სახელი **იორდანიად**, რომელსაც ევროპელებმა თავიდან **ტრანსიორდანია** უწოდეს).

## ციური ახვლედიანი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## საფრანგეთის ლინგვისტური პოლიტიკის ასპექტები XXI საუკუნეში

საქართველოს მსგავსად, საფრანგეთშიც მრავალი სხვადასხვა ეროვნების, ანუ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობს. სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული და გამოქვეყნებული 2001 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის 86 %-ისათვის ფრანგულია მშობლიური ენა; დანარჩენი 14 %-ისათვის კი – სხვა ენებია: პროვანსული, ელზას-ლოტარინგიული, ბრეტონული, ბასკური და სხვ.

1. საფრანგეთის ლინგვისტური პოლიტიკა ცენტრისტულია, მიმართული ერთადერთი – ფრანგული – ენისაკენ; ასეთი დადგენილება ოფიციალურადაა მიღებული და მკაცრად კონტროლდება ცენტრალიზებული სახელმწიფოს მიერ.
2. 2003 წ., საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ჟ.-პ. რაფარენის მიერ მკაფიოდ ფორმულირებულ და გამოქვეყნებულ დოკუმენტში – «2003 წლის 14 თებერვლის ცირკულარულ წერილში» ნათქვამია, რომ ფრანგული ენის მიმართ მიღებული დადგენილებები გრძელვადიანია, მკაცრად განსაზღვრულია და ეხება ფრანგული ენის სტატუსს არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ამგვარი ენობრივი პოლიტიკის გატარების მიზანია „ფრანგული ენის მეთაური პოზიციის უზრუნველყოფა საფრანგეთის ტერიტორიაზე და ფრანგული ენის ადგილის შენარჩუნება“.

ნება საერთაშორისო დონეზე“ (Circulaire du 14 février 2003 relative à l'emploi de la langue française).

3. საფრანგეთის ტერიტორიაზე ფრანგული ენის პირველობის უზრუნველსაყოფად ჟ.-პ. რაფარენი მიიჩნევს:
  - იმ მითითებათა ზუსტ შესრულებას, რომლებიც ეხება ფრანგული ენის ხმარებასა და განვითარებას;
  - შესაბამისი ორგანოებისაგან «განსაკუთრებულ სიფხიზლეს» 1994 წლის 4 აგვისტოს კანონის «ფრანგული ენის გამოყენების შესახებ» დოკუმენტთა პაკეტის შესრულებას;
  - ფრანგული ენის ლექსიკონის გამდიდრებას «ტერმინოლოგიისა და ნეოლოგიის კომისიის მუშაობის შედეგად, რომელიც უნდა გააქტიურდეს»;
  - შექმნილ ტერმინთა გამოყენებას სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ინფორმირებისა და კომუნიკაციის პროცესში, პუბლიკაციებსა და ინტერნეტში;
  - ფრანგული ენის გამოყენების უზრუნველყოფას სამეცნიერო სფეროში (ფრანგულ ენაზე სამეცნიერო პუბლიკაციათა გავრცელება, 1994 წლის 4 აგვისტოს კანონის – «ფრანგული ენის გამოყენების შესახებ» – სამეცნიერო კონფერენციებზე ფრანგული ენის გამოყენების შესაბამის დებულებათა შესრულება).
4. ახალი ენობრივი პოლიტიკა მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფოს განახლებულ იმიგრაციულ პოლიტიკას, რომელშიც გათვალისწინებულია მაქსიმალური კონტროლი იმიგრანტთა ნაკადის მიმართ და აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა ფრანგულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისათვის. სოციალური ინტეგრაციის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია ფრანგული ენის ცოდნა.
5. რეგიონალურ ენებთან ურთიერთობის პოლიტიკის რეალიზაცია განპირობებულია ევროპული კავშირის ზემოქმედებით, რომლის წევრიც საფრანგეთი 1957 წლიდანაა. ამ ორგანიზაციის ჩარჩოებში ყოველგვარი ეთნიკური საკითხი, და აქედან გამომდინარე, ევროპის კულტურულ და ენობრივ მრავალფეროვნებას ლობირებს ევროპულ ეთნიკურ უმცირესობათა ფედერალური კავშირი, რომლის გავლენა უდიდესია ყველა ევროპულ ინსტიტუტზე.

6. საფრანგეთის თანამედროვე ენობრივი პოლიტიკა შედგება შიდა და გარე მიმართულებებისაგან. ნაციონალურ დონეზე შეინიშნება ენობრივი და იმიგრაციული პოლიტიკის სინთეზი, ქვეყნის ტერიტორიაზე ეროვნული მრავალფეროვნების აღიარების ფაქტი და ამის შედეგად იმ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც საშუალებას აძლევენ რეგიონალურ ენებს წარმოჩნდნენ კულტურის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და განათლების სფეროებში; ასევე მუშავდება და რეალიზდება ფრანგული ენის დანერგვის ღონისძიებები ინტერნეტსივრცეში. საგარეო პოლიტიკა მოიცავს ახალი გზების ძიებას ფრანგული ენის პროპაგანდისათვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

### **მერაბ ბაბუხაძია**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **რითი გვემუქრება ტერმინოლოგიის ხელყოფა?**

ამ ბოლო დროს გამრავლდა სამოყვარულო ლინგვისტური განაზრებანი. განსაკუთრებით სიტყვების, ტერმინებისა და ენების ისტორიის შესახებ. ფსევდომეცნიერებები ცვლიან ჭეშმარიტ მეცნიერებას და იწყება ნამდვილი ობსკურანტიზმი.

მეცნიერებას უტევენ მაღალი ეშელონების ხელშეწყობითაც. განსაკუთრებით კი ტელევიზიით, რომელსაც აქვს მასებზე ზემოქმედების დიდი ძალა და სინამდვილეში, სამწუხაროდ, რეიტინგებზე „ნადირობის“ გამო, ყოველთვის ამჯობინებს სენსაციებს და არად დაგიდევთ, მართალია თუ არა ის, რაც აუდიტორიის გაბრიყვების საწინდარია.

პოსტმოდერნიზმად წოდებულმა ინტელექტუალურმა მოძრაობამ, რომელიც დაიწყო ორმოცდაათიოდე წლის წინ იულია კრისტევამ, როლან ბარტიმ, ჟაკ ლაკანიმ, ფუკომ და ჟაკ დერიდამ, დაამკვიდრა თეზა - ჭეშმარიტება არ არსებობს და არსებობს მხოლოდ აზრები. ეს პოსტმოდერნისტული პარადიგმა ახალი თავისუფლების ლოზუნგად იქცა და დღეს დიდი ნგრევა მოაქვს.

ყველა მოსაზრება მხოლოდ სხვადასხვა ტექსტის შემცველია, ისინი მკაც-

რად არ განსხვავდება - ერთი ტექსტი ერთს ამბობს, მეორე - მეორეს. აქ მკაცრი დაპირისპირება ჭეშმარიტისა და არაჭეშმარიტისა, სწორისა და არასწორისა გამოირიცხება და გზა ეძლევა რეალურ უბედურებას რეალურ ცხოვრებაში - ინგრევა სახლები, გზები, ილუპებიან პაციენტები...

ყველა შესაძლო მოსაზრების თანაბრობის იდეა ძალიანაც აცდუნებს მრავალრიცხოვან ახლაგაზრდულ აუდიტორიას, რომელიც ინტერნეტის აქტიური მომხმარებელია. ინტერნეტი საშუალებას აძლევს მათ ნებისმიერი მოსაზრება მილიონობით მომხმარებელს გაუზიარონ, ქმნის ისეთ სიტუაციას, როდესაც პრაქტიკულად ნებისმიერ აზრს გაუწიო წინააღმდეგობა, ყოველდღიურ ნორმად გადაიქცევა. აქ ვხვდებით ყველაფრისმცოდნეებს, რომლებიც თამამად გადმოსცემენ ნებისმიერ აზრს ნებისმიერ საკითხზე, უმეტესწილად იმის საწინააღმდეგოს, რომელსაც ტრადიციული მეცნიერება აღიარებს.

თურმე ყოფილა საკონცენტრაციო ბანაკები და, ამის საპირისპიროდ, თურმე ეს გამოგონებაა და ფანტაზია. პოსტმოდერნიზმის მიხედვით ეს ორი მოსაზრება პარალელურად უნდა არსებობდეს. თუ ერთს ამბობ, მაშინ უნდა ისიც აღნიშნო, რომ არსებობს მისი საპირისპიროც.

ასეთი სიტუაცია გვიბიძგებს ტრადიციული ღირებულებების დასაცავად. სამეცნიერო წრეებში თვლიან, რომ ტერმინოლოგიაზე, სიტყვების ისტორიასა და წარმოშობაზე არსებულ გამოგონებებს არ უნდა ვებრძოლოთ, რადგან ეს ჩვეულებრივი ბავშვური სახადია, რომელიც თავისთავად გაქრება. ეს ბოლო ოცი წლის პრაქტიკით არ დასტურდება და წრე სამოყვარულო ოპუსებისა ძლიერ გაიზარდა და, რაც უფრო სამწუხაროა - მისი მომხმარებლებიცა და თაყვანისმცემლებიც მათთან ერთად. მასების მოთხოვნა იმაზე, რასაც სენსაციური ამბებით ტკბობა ჰქვია და პლუს ამას ის, რაც ადრე მყარ, დასაბუთებულ მოსაზრებებად გვეჩვენებოდა, დაინგრა.

ტერმინოლოგიაზე შეტევის ნიმუშად მოგვყავს, მაგალითად, ჰერალდიკის ტერმინების ჩამოყალიბების გზაზე მრავალი არაპროფესიონალის შემოტევა, რომლებიც არად დაგიდევენ ტერმინოლოგიის თეორიულ წანამძღვრებს, მეცნიერულ დასაბუთებას და სუბიექტური მოწონება-არმოწონების საფუძველზე უხეშად ერევიან ტერმინთშემოქმედებაში. მათი გადარწმუნება შეუძლებელია. ამას პრინციპულად უნდა მოელოს ბოლო. ერთიანი სალიტერატურო ენის შენარჩუნების საქმეში ტერმინთშემოქმედებას უპირველესი ადგილი უჭირავს. შესაბამისად, მისი სახელმწიფო ზრუნვის რანგში აყვანა ქვეყნის პრესტიჟისა და ინტელექტუალური სიმწიფის მაჩვენებლად გვესახება.

## აკაკი ბაქრაძე

სრულიად საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი

## ინგლისურ-ქართული სამეანო-გინეკოლოგიური ლექსიკონი

საბჭოთა პერიოდის დროს ქართველი მედიკოსების სამუშაო ენა რუსული იყო და, შესაბამისად, ტერმინთა სისტემა ძირითადად რუსული ენის მოდელს ეყრდნობოდა. უცხოენოვანი სიტყვებიც რუსულის გზით მკვიდრდებოდა ქართულში. გასაკვირია, მაგრამ მედიცინის ნებისმიერ დარგში ქართულ ენაზე რეკონმენდაციებიც კი არ არსებობდა.

მოხსენებაში განხილულია სამეანო-გინეკოლოგიის დარგში არსებული ტერმინოლოგიური პრობლემები, მიმოხილულია 2000 წელს გამოცემული „ინგლისურ-ქართული სამეანო-გინეკოლოგიური ლექსიკონი“, რომელიც წარმოადგენს ამ დარგში ტერმინთა თავმოყრის პირველ ცდას. ტერმინთა უმეტესობას უცხო სიტყვის სალექსიკონო შესატყვისად ქართული ტერმინი დაეძებნა: მაგ., Agalactia, agalactosis – აგალაქტია, რძის უქონლობა, amnion – ამნიონი, სანაყოფო გარსი, anasarca – ანასარკა, კანის წყალმანკი, athermic – აპირეტიული, უციებცხელებო. ერთეულად (თავსიტყვად) ინგლისური ტერმინია, რომელსაც ქართული შესატყვისი ახლავს. სალექსიკონო ერთეულთან თავმოყრილია ყველა ტერმინოლოგიური შესიტყვება, ანუ დაცულია ბუდობრივი სისტემა და ეს აადვილებს ნებისმიერი ტერმინოლოგიური შესატყვისის მოძებნას.

ლექსიკონში თავმოყრილია არა მხოლოდ სამეანო-გინეკოლოგიის ტერმინები, არამედ ზოგადი სამედიცინო ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია ამ დარგთან.

ლექსიკონზე მუშაობა კარგა ხანს გაგრძელდა და გამოიკვეთა ის აზრი, რომ თვითონ ექიმები ვართ დამნაშავენი სამედიცინო ტერმინოლოგიის დამახინჯებაში, უპატიებელ შეცდომებს ვუშვებთ. ლექსიკონმა რედაქცია გაიარა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში და, ვფიქრობთ, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ტერმინთა სალიტერატურო ნორმების მიხედვით გამართვა და ბევრ შემთხვევაში უცხო წარმომავლობის ტერმინთა ქართული შესატყვისების დამკვიდრება.

---

## მარინე ბერიძე, ზაალ კიკვიძე

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

### კორპუსის ლინგვისტიკის მეტაენობრივი ოდენობები და მათი თეზაურუსული მიმართებები

ნებისმიერი სამეცნიერო დისციპლინის მეტაენის განვითარებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ორი ფაქტორი: ტრადიცია და სიახლე. ტრადიცია მისი ბალავარია, ხოლო სიახლე ინტენსიური თუ ექსტენსიური ზრდის წინაპირობა. ამ მხრივ, ქართული კორპუსის ლინგვისტიკის მეტაენის განვითარება ძალიან სპეციფიკურ პირობებში მიმდინარეობს. აღნიშნულის მიზეზი იმაშიც მდგომარეობს, რომ ამ მხრივ ძნელია საუბარი რაიმე ტრადიციის არსებობაზე; მეტი ობიექტურობისათვის შეიძლება ვახსენოთ ის მემკვიდრეობა, რომელიც მის ლინგვისტურ ნაწილს ერგო წილად (მიუხედავად იმისა, რომ კორპუსის ლინგვისტიკის ტერმინთა უმრავლესობა ინგლისურია, საკმაოდ არსებობს ისეთებიც, რომლებიც მის ცალკე დარგად ჩამოყალიბებამდე გამოიყენებოდა; მათი უმრავლესობა კი ან ბერძნული, ან ლათინური წარმოშობისაა; მაგალითად, *ლემბ* და *ლექსემა* ბერძნულია, ხოლო *კორპუსი* და *სეგმენტი* -- ლათინური). რაც შეეხება სიახლეს, როგორც წესი, ახალი მეტაენობრივი ერთეულების წარმოებისას გამოიყენება ლექსიკის გამდიდრების ყველა საშუალება: სესხება (უშუალო, შუალობითი, კალკირება...), სიტყვაწარმოებითი მოდელები (წარმოქმნა, თხზვა, შემოკლება, კონტამინაცია...). ნიშანდობლივია, რომ ქართული კორპუსული ლინგვისტიკის სფეროში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები არც ისე მრავალრიცხოვანია; მიუხედავად ამისა, მისი მეტაენა სიჭრელით გამოირჩევა. ზემოაღნიშნული მიზეზების გარდა სიჭრელეს განაპირობებს ერთგვარი გარდამავალი პერიოდიც (გვულისხმობთ გარდამავალი ენობრივი გავლენების კვალს სამეცნიერო მეტაენაზე, კერძოდ, რუსული "ენობრივი ექსპანსიის" ინგლისურით შეცვლის პროცესი).

მეტაენობრივი და ტერმინოლოგიური სიჭრელის შემთხვევაში დღის წესრიგში ჩვეულებრივ დგება პრესკრიპციული ზომების მიღება. ჩვენი აზრით, პრესკრიპციული ზომების მართებულად შესამუშავებლად აუცილებელია არსებული მეტაენობრივი ბაზის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის ქონა. ამისათვის უმჯობესი იქნება, თუ კორპუსის ლინგვისტიკის მეტაენობრივ ერთეუ-

ლებს თეზაურუსის სახით წარმოვიდგინოთ, რადგან ისინი ერთმანეთისაგან კონტექსტუალური მიმართებების გარეშე არ არსებობენ. ეს, რა თქმა უნდა, რთული აგებულების მქონე სურათს მოგვცემს, მაგრამ ვითარება თავისთავად არის მრავალკომპონენტური.

თუკი ვისაუბრებთ სესხებაზე, როგორც ყველაზე გავრცელებულ საშუალებაზე, არსებული ვითარების ამსახველ ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ინგლისური ტერმინი tag; ქართულად იგი გვხვდება სხვადასხვა სახით: *ტაგი, ტეგი, თავი, თეგი*; შესაბამისად – *დატაგვა, დატეგვა, ტეგირება, ტაგირება, თეგირება, თავირება*. თეზაურუსული მიდგომა გვაძლავს იმას, რომ ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტების გარდა განვიხილოთ მასთან სინონიმურ, ანტონიმურ, ჰიპო- და ჰიპერონიმულ და სხვა სახის ურთიერთობაში მყოფი სხვა ერთეულებიც. მაგალითად, მისი სინონიმური კავშირები შესაძლოა ასე წარმოვიდგინოთ: ანოტირება (annotation), კოდირება (encoding), ტექსტის მონიშვნა, გაწყობა (markup), ტეგირება (tagging).

ამავე პრინციპით უნდა წარმოვიდგინოთ სხვა ერთეულებიც. ამას გარდა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მეტაენა გაცილებით ფართო და მოცულობითი ველია, ვიდრე ტერმინოლოგია. ლინგვისტიკური დისციპლინების მეტაენა მოიცავს არა მარტო ტერმინებს, არამედ გლოსონიმებს, ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის ნიშნებს, პუნქტუაციას და ა.შ.

კორპუსის ლინგვისტიკის მეტაენის თავისებურებების სწორი გააზრება მნიშვნელოვანია არა მარტო დისციპლინარული ინტეგრაციისთვის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში, არამედ დარგის პრობლემური ველის სწორად გასაზრებლად და გასავითარებლადაც.

ჩვენი აზრით, მხოლოდ სწორედ სრული თეზაურუსული სურათის მიღების კვალად ჩამოყალიბებული პრესკრიპციული ზომები იქნება ყველაზე ობიექტური და, შესაბამისად, ეფექტურიც ქართული კორპუსის ლინგვისტიკის მეტაენისათვის.



---

## მანანა ბუკია

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

### ენათა შერევის ტენდენცია ზანურ დარგობრივ ლექსიკაში

სხვადასხვაენოვან კოლექტივთა ურთიერთობას ბუნებრივად მოსდევს ენათა ურთიერთგავლენა.

ის თვალშისაცემი სხვაობა, რომელიც ლაზურისა და მეგრულის ლექსიკურ შედგენილობაში შეიმჩნევა, უცხო ენათა (ლაზურისთვის – თურქულისა და ბერძნულის, მეგრულისათვის – სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე აფხაზურისა და რუსულის) ზეგავლენის შედეგია.

მოხსენებაში განხილულია მეგრულ-ლაზური მესაქონლეობის ლექსიკის ნაწილი...

ჯერ ბერძნულმა, შემდეგ კი 5 საუკუნის თურქულენოვანი სამყაროს უშუალო გარემოცვამ თავისი კვალი დაატყო ლაზურს. ეს კარგად ჩანს მწყემსურ ლექსიკაში. თურქულ ენას საკმაოდ მდიდარი დარგობრივი ლექსიკა მოეპოვება, რაც ბუნებრივად აისახა ლაზურში.

მსგავსი პროცესი მიმდინარეობდა ბოლო დრომდე მეგრულში, რომელმაც უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზეგავლენა განიცადა პოლიტიკურად გაბატონებული რუსული და აფხაზური ენებისა, რომლებსაც ასევე მდიდარი მესაქონლეობის დარგობრივი ლექსიკა აქვს.

მართალია, მეგრულის მწყემსურ ლექსიკაში გვხვდება რუსიზმების ცალკეული შემთხვევები (მაგ. **კნუტი** “მათრახი”, **სედლო** “ქალის უნაგირი”, **ხამუტი** “თაფხუნზე შემოჭერილი თასმა”...), მაგრამ მას მასობრივი ხასიათი არა აქვს. სამაგიეროდ, მეგრულ მწყემსურ ლექსიკას ეტყობა აფხაზური ენის მეტ-ნაკლები გავლენა.

მეგრულ-ლაზურში ძირითადად შენარჩუნებულია მწყემსური ლექსიკის საერთოქართველური ფუძე-ძირები, იქვე გვხვდება ნასესხები სიტყვები, რომლებიც ქმნის სინონიმურ წყვილებს. ლაზურში ადვილად შეიმჩნევა შეთვისებული ლექსიკის დომინანტი:

ქართ. **ზაგა**, მეგრ. **ზოგა**, ლაზ. **ზოგა**; **ემლული** // **ომლული** < **yemlik**

ქართ. **ბატკანი**, მეგრ. **ბატკი**, ლაზ. **ბატკი**; **კუზი** < **kuzu**

ქართ. დერგი, მეგრ. დერგი, ლაზ. დერგი / დეგი; qéfi < kúp  
ქართ. მოზვერი, მეგრ. მოზვერა, ლაზ. მოზარი / მუზარი; თოსუმი < tosum  
ქართ. მწყემსი, მეგრ. ჭყიში, ლაზ. ჭკეში / ჭეში; ჩობანი < coban  
ქართ. ნაღები, ლაზ. მოლაფერი; კაიმალი < kaimak  
ქართ. ტყავი, მეგრ. ტყები, ლაზ. ტკები / ტები; ფოსტი < post  
ქართ. ღორი, მეგრ. დეჯი, ლაზ. დეჯი; დომუზი < domuz  
ქართ. ყველი, მეგრ. ვალი, ლაზ. ყვალი / კვალი / ვალი; ფენირი < peynir  
ქართ. ცხვარი, მეგრ. შხური, ლაზ. მხხუი; კოინი < koyun  
ქართ. ძაღლი, მეგრ. ჯოღორი, ლაზ. ჯოღოი; ქოფაქ < kopek  
ქართ. ჯოგი, მეგრ. ჯოგი, ლაზ. ჯოგი; მალი < მალ, სური < siir  
ქართ. ჯორი, მეგრ. ჯორი, ლაზ. ნჯორი; კატირი < katir.

მეგრულში, ისევე როგორც ლაზურში, გვაქვს ლექსიკურ ერთეულთა სინონიმური წყვილი, რომელსაც საერთოქართველურ ფორმებთან ქმნის აფხაზურიდან შეთვისებული სიტყვები:

ქართ. გაზაფხული, მეგრ. გაზარხული; აფუნი < აფხ. ააფუნ,  
ქართ. (დიალ.) ბიგი / ბიგა, მეგრ. ბიგა; ლაბაშა < აფხ. ა-ლაბაშა,  
ქართ. საწური, მეგრ. ოწირალი; ხარაძაგა < აფხ. ა-რაძაგა,  
ქართ. ტლაპო / ტყლაპო, მეგრ. ონტყოლეში; აზმახი „გუბე, საქონლის დასარწყულებელი“ < აფხაზ. ა-ძმახ „ჭაობი“.

ხშირად ლაზურში დაკარგულია ის საერთოქართველური ან შეთვისებული ფორმები, რომლებიც გვაქვს ქართულში, მეგრულში, ნაწილობრივ, სვანურში. ლაზური „დანაკლისს“ ძირითადად თურქული (resp. აღმოსავლურენოვანი), ხანდახან კი ბერძნული ლექსიკით ივსებს:

ქართ. ბერწი, მეგრ. ბურჭი, სვან. ბრჭჭ, ლაზ. კისირი < თურქ. kisir  
ქართ. ერბო, მეგრ. ერბო / ებრო, ლაზ. ძალი < თურქ. yağ  
ქართ. კრავი, მეგრ. კირიბი, ლაზ. შიშელი < თურქ. şişek  
ქართ. მაწონი, მეგრ. მარწვენი, ლაზ. ფოღურთი < თურქ. yoğurt  
ქართ. ჭაკი, მეგრ. ჭაკი, სვან. ჭაგ, ლაზ. კისრალი < თურქ. kisirak  
ქართ. ბოსელი, მეგრ. ბოსელი, ლაზ. მანდრე < ბერძ. μανδρ

იგივე ვითარება გვაქვს მეგრულში, ოღონდ აქ აფხაზური ენის გავლენა გაცილებით ნაკლები ინტენსივობისაა:

ქართ. ხსენი, ლაზ. ცხონი, მეგრ. ხიჯაჯა < აფხაზ. ა-ხჯაჯა

ქართ. თიკანი, ლაზ. ტიკანი, მეგრ. ქვაშიდი < აფხაზ. ა-ქ<sup>ო</sup>აშთ.

ეს ცვლილებები, ერთი შეხედვით, ლექსიკურად საკმაოდ აშორებს ერთი ენის ორ დიალექტს ერთმანეთისაგან და ქმნის მკვეთრი განსხვავებულობის ილუზიას.

ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული მასალა ლექსიკის ის ნაწილია, რომელიც სასწრაფო აღნუსხვასა და შესწავლას საჭიროებს. კვლევა აუცილებლად მეგრულისა და ლაზურის გაუმიჯნავად, კომპლექსურად უნდა წარიმართოს, რადგან მეცნიერული თვალსაზრისით ფასეული დასკვნების გაკეთება, მეგრულ-ლაზურის, ზოგადქართველურის, სხვა ენებთან ურთიერთობის გარკვევის თვალსაზრისით, მხოლოდ ასე თუ იქნება შესაძლებელი.

**იამზე გაგუა, მაია დანელია, ეკატერინე კობახიძე, ნინო რუხაძე**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **ლათინური წარმომავლობის იურიდიული ტერმინები**

ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის შესახებ ნაშრომის შექმნა მნიშვნელოვანია არა მარტო სამართლის შემსწავლელი სტუდენტებისა და სპეციალისტებისათვის, არამედ, ზოგადად, სამართალმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებული ყველა პირისათვის. რომის სამართალი შეიცავს კლასიფიკაციის საკმაოდ სრულ მოდელს, რომელიც, არსებითად, მოიცავს სამართლებრივი ფორმების ძირითად ნაწილს. მართალია, საუკუნეების განმავლობაში ცივილიზაციის განვითარებასა და სხვადასხვა ცვლილებასთან ერთად სამართლის ფორმები მრავალფეროვანი ხდებოდა, მაგრამ, არსებითად, რომაულმა კლასიფიკაციამ დღემდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ თანამედროვე ევროპული ქვეყნების ეროვნული სამართლისა და საერთაშორისო სამართლის იურიდიული ტერმინოლოგია, ძირითადად, რომაული სამართლის მიერ გამომუშავებული ფორმულებითა და ცნებებით საზრდოობს. დღესაც რომის სამართლის საფუძვლების ღრმა ცოდნის გარეშე შეუძლებლად მიიჩნევა მაღალი დონის

პროფესიონალი იურისტის ჩამოყალიბება. ამ საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და სტუდენტების წინაშე დგას პრობლემა, როგორ უნდა დაიწეროს და ითარგმნოს ესა თუ ის იურიდიული ტერმინი ან ტერმინოლოგიური შესიტყვება. ლათინური იურიდიული ტერმინების თარგმნისას უზუსტობების თავიდან ასაცილებლად საჭიროა არა მხოლოდ იურისპრუდენციის, არამედ ლათინური ენის, როგორც იურიდიული სატერმინოლოგო ენის, სათანადო ცოდნა. ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ასეთი ტიპის ნაშრომი, რომელიც ამომწურავად დააკმაყოფილებდა საზოგადოების ინტერესს. ამჟამად არსებული ორიოდვე საცნობარო ხასიათის ნაშრომი მცირე მოცულობის და ფაქტობრივი თუ ტერმინოლოგიური სახის უზუსტობების თავიდან ასაცილებლად ვერ აკმაყოფილებს იმ სტუდენტთა და სპეციალისტთა მოთხოვნებს, რომელთაც იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენება უხდებათ კვლევისა და სწავლის პროცესში. ამდენად, ტერმინოლოგიური და ენობრივი თვალსაზრისით გამართული, აკადემიურად შესრულებული ნაშრომის შექმნა, რომელიც შეიცავს არა მარტო ლათინური ტერმინის თარგმანს, განმარტებას, ქართულ ეკვივალენტებს, არამედ ასევე ინფორმაციას პირველწყაროს შესახებ, ქართულ სამართლებრივ სივრცეში ტერმინის პირველად დადასტურების დოკუმენტაციას და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში ლათინური ტერმინების გამოყენების კონკრეტული შემთხვევების დამოწმებას, გარკვეული თვალსაზრისით სიახლე იქნება ქართულ მეცნიერებაში.

მოხსენება ეძღვნება შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ 2011 წელს ფუდამენტური კვლევების მიმართულებით დაფინანსებული პროექტის („ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია“) განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემების ანალიზსა და გადაჭრის გზებს.

## ოთარ გამყრელიძე

თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

### ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგიის საკითხები

1. ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგია, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ლიტერატურული ენის საფუძველზე ვითარდებოდა და ვითარდება დღესაც. ცნობილია, რომ ქართული ენა მდიდარია თავისი შესაძლებლობებით, სრულყოფილად გამოხატოს ამა თუ იმ სამართლებრივი მოვლენის არსი. ამას ხელს უწყობს აგრეთვე ქართული სამართლებრივი აზროვნების განვითარებაც, რაც უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში განსაკუთრებით თვალშისაცემია.

2. მე-19 საუკუნიდან დაწყებული ჩვენი სამართლებრივი აზროვნება ბუნებრივად განიცდის რუსული და დასავლეთევროპული აზროვნების ზეგავლენას, რაც თავისთავად ცუდი როდია. განვითარებული ქვეყნების მოაზროვნებისაგან შეიძლება ბევრი რამ ვისწავლოთ და გამოვიყენოთ ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ამ სწავლის დროს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი კულტურული მიღწევებიც, განსაკუთრებით კი - ქართული ენა.

3. სამწუხაროდ, სახელმწიფო ენის დაცვას ჩვენში დიდი ყურადღება არ ექცევა. ხშირია შემთხვევა, როცა ამა თუ იმ სამართლებრივი მოვლენის გამომხატველი სიტყვა ქართულში არსებობს, მაგრამ მეცნიერი ამ ტერმინს არ ეძებს, უყურადღებოდ ტოვებს. ასე შემოდის და მკვიდრდება ჩვენს სამართლებრივ ენაში უცხო სიტყვები მაშინ, როცა მათი შესაბამისი ცნებების ქართული შესატყვისები იკარგება.

4. უძველესი დროიდან დღემდე ბევრი უცხო სიტყვაა ქართულში დამკვიდრებული. ყველა მათგანის ამოღება ენიდან დღეს, ალბათ, შეუძლებელია, მაგრამ აუცილებლად უნდა ვებრძოლოთ იმ უცხო ტერმინებს, რომლებიც ახალი შემოსულია და ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა ენაში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხალხის მეტყველებაში გამოყენებულ ისეთ ტერმინებსაც მივაგნოთ, რომელთა შემოტანა სამართლებრივ ცხოვრებაში სავსებით შესაძლებელია. დავასახელებ ერთ ასეთ მაგალითს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლში ვკითხულობთ:

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს „მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი...“ და ა. შ.

მიაქციეთ ყურადღება სიტყვა „ლესბოსელობას“, რომელიც ბერძნული ენიდან მომდინარეობს. მიხეილ ჭაბაშვილის შედგენილ „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ ეს ბერძნული სიტყვა ქართულად ასეა განმარტებული: „ლესბოსური სიყვარული – ქალის არაბუნებრივი სექსობრივი ლტოლვა ქალისადმი (ძველი საბერძნეთის კუნძულ ლესბოსის (Lesbos) სახელის მიხედვით“.

ამ ბოლო წლებში აღმოჩნდა, რომ ბერძნულ „ლესბოსელობას“ ჰქონია ქართული შესატყვისი. ეს არის „დედათმავლობა“, რომელიც ზუსტად გამოხატავს ამ მოვლენის არსს. ჩემი აზრით, აუცილებელია ამ ქართული ტერმინის კოდექსში შემოტანა.

5. ქართულ სამართლებრივ ენაში გვხვდება ასეთი ტერმინიც: „პროკურორის დისკრეციული უფლება“. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლში ნათქვამია: „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით“.

„დისკრეციული“ ფრანგული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს მოქმედებას „პირადი შეხედულების მიხედვით“ (იხ. ზემოთ დასახელებული მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“).

რატომ არ შეიძლება, რომ კანონმდებელს „დისკრეციის“ ნაცვლად ქართული სიტყვები გამოეყენებინა? რასაკვირველია, ამის სრული შესაძლებლობა იყო.

6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით „სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება ქართულ ენაზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე“. ამ მუხლით დადგენილი წესი ეყრდნობა საქართველოს 1995 წ. 24 აგვისტოს კონსტიტუციის მე-8 მუხლს, რომლის მიხედვით „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აგრეთვე აფხაზური“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი გვავალდებულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვიმოქმედოთ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო

ენის, წესების დაცვით, მაგრამ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება ენის დასაცავად საკმარისი არ არის. საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით შევიმუშაოთ საგანგებო კანონი, ენის კანონი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ენის დაცვის ცალკეული საკითხი. ამისათვის აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს პარლამენტმა ჩამოაყალიბოს სახელმწიფო ენის დაცვის კომისია.

## **ზაალ გიგინეიშვილი**

საქართველოს რაგბის კავშირი

### **რაგბის ქართული ტერმინოლოგიისათვის**

მედიაწყაროთა თანახმად, ქართული რაგბი დასაბამს 1935 წლიდან იღებს, მაგრამ სპორტის ეს სახეობა ჩვენში, მეოთხე ცდით, 1959 წლიდან დაინერგა და მას აქეთ უწყვეტად ვითარდება.

თამაშს რუსულის გავლენით თავიდანვე არასწორად ეწოდა „რეგბი“, მის მიმდევარს კი – „რეგბისტი“. ეს შეცდომა 1989 წლის აპრილში გასწორდა: დაინერგა „რაგბი“ და „მორაგბე“, მაგრამ „ისტ“-იან ფორმას დღესაც გაუაზრებლად იყენებს ძველი თაობა და უმართავი სოციალური ქსელები.

რაგბის ქართულ ტერმინოლოგიას ერთდროულად, ოღონდ ცალ-ცალკე, ქმნიდნენ გაზეთ „ლელოს“ ჟურნალისტები, რომლებიც გაუთვითცნობიერებული იყვნენ სპორტის ამ სახეობაში და ასევე – თამაშის მიმდევრები (მოთამაშენი, მწვრთნელები, მსაჯები). უცხოური ინფორმაციის მიუწვდომლობის გამო 1986 წლამდე ამოსავალი რუსული ტერმინები იყო, მაგრამ ისინი ორივე მხარემ საკუთარი შეხედულებისამებრ დაამკვიდრა: ფრანგული „ესე“, „მელე“ და „პლაკაჟ“ რუსულად ითარგმნა, როგორც „პაპიტკა“, „სხვატკა“ და „ზახვატ“; ქართულმა მედიამ მათ შესატყვისად დანერგა „ცდა“ (მერე „დამიწება“, ამჟამად „ლელო“), „შერკინება“ და „შეკვრა“ (ამჟამად „ბოჭვა“), რაგბის თემმა კი, რაკი სასწავლო ლიტერატურა ქართულად არ არსებობდა, მეტოქედ კი რუსულენოვანი გუნდები ჰყავდა და მსაჯობაც რუსულად მიმდინარეობდა, საგაზეთო ტერმი-

ნებს რუსული ჟარგონი ამჯობინა: ასე შემოვიდა „ზანოსი“ (ლელოს აღსანიშნავად), „სხვატკა“ და „ზახვატი“; შეითხზა „სხვატკ-ისტი“ (მორკინალი) და „ბუმბასი“ (აბრაგანი; ეს ილეთი ჩვენი რაგბის პიონერებმა ლატვიაში ნახეს, „ბუმბა“ – ლატვიურად „ბურთი“, „ყუმბარა“ ტერმინი ეგონათ); „დრაგბოლი“ (არეკნი; ინგლისურად „დროპ გოლ“; ზეპირი გზით არასწორად დამკვიდრებული ქართული ჟარგონია).

1980-იანის შუა წლებში თემმა „ლელოში“ გააერთიანა თავისი წევრი და რაგბის უფლებებისთვის ბრძოლა დააკისრა. საბჭოთა რეჟიმის შერბილების წყალობით რეგულარულად ხელმისაწვდომი გახდა უცხოური ლიტერატურა და ვიდეოები. 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყო ევროპაში ქართველ მორაგბეთა მასობრივი გადინება; გაჩნდა „ზეპური რაგბის“ უცხოური რეპორტაჟები საკაბელო ტელეარხებზე, ხოლო ინტერნეტის გავრცელებამ კი ინგლისური ინფორმაციის ბუმი განაპირობა.

ტერმინოლოგიაც ამიერიდან ინგლისურს დაეფუძნა, რადგან რაგბის სამშობლო ინგლისია და ორიოდე გამონაკლისის გარდა, ყველა დიდი ქვეყანა ინგლისურენოვანია. წესების სამი სხვადასხვა წიგნი (ერთი ოდნავ სხვანაირი, ლიგური რაგბისა) ქართულად ინგლისური დედნებიდან ითარგმნა და 25 წლის განმავლობაში 10-ჯერ მაინც გამოიცა. შეიქმნა ან გადმოქართულდა მეთოდური ლიტერატურაც; მომრავლდა რაგბიზე ქართული ჟურნალ-გაზეთები, საიტები და ფორუმები, მოსაუბრე რადიოსადგურები და ტელეარხები.

ამას ახალი ქაოსი და დაპირისპირება მოჰყვა, რადგან არ არსებობს მაკოორდინირებელი ორგანო, ყოველი ახალბედა ამბიციითაა შეპყრობილი, „ძალიან ძველები“ კი საბჭოთა ხანის მარაგს ვერ ელევან. ამიტომ პარალელურად არსებობს: „ზაჩოტკა“ (ჟარგონი) || „ჩათვლის მოედანი“ (ზოგიერთი კომენტატორი; „ლელო“ (წესები) || „რეალიზაცია“ (საბჭოთა ტერმინი); „გარდასახვა“ || „დროპ გოლი“ (უცხოურის ცოდნით თავმოწონება); „არეკნი“ || „ნახევარდაცვა“ (აზრობრივად არასწორი) და „ღერძი“.

დაპირისპირება იმ დონემდეა მისული, რომ ამ ტერმინებით მოსაუბრის რაგბის თემთან წილნაყარობის ხარისხის დადგენაც შეუძლებელია: „ლელო გავიტანეთო“, – ამბობს საზოგადოების 99%, ერთი კი, „გამოუსწორებელი“ „რეგბისტი“, ჯიუტად შენიშნავს, რომ „ზანოსი დაიდო“ და „ჟოსტკი ზახვატი გაკეთდა“ („მთათამაშე ხისტად შებოჭეს“). სხვანი, ახლები, გააზრების ნაცვლად კალკირებას მიმართავენ: „წინა ფეხზე“ (ონ ფრანთ ფუთ) = წინ სვლით; მაგრამ ყოფილა შე-



მთხვევებიც, როცა მედიასა და მწვრთნელებს დამოუკიდებლად, მეტ-ნაკლებად გამართულად, შეუქმნიათ ერთი და იმავე ცნების აღმნიშვნელი ორ-ორი ტერმინი: „რაშინგ დიფენს“ = მიმხდომი დაცვა (მედია) = აკეცვა (მწვრთნელები); „ფეჩინგ“ = ბურთის წალღეტა, ბურთში შეზიარება (მედია) = ბურთის ამოღება, ბურთში ჩაჯდომა (მწვრთნელები).

დასასრულ, თანამედროვე რაგბის დამკვიდრებული ტერმინები შეგვიძლია ასე დავაჯგუფოთ:

- სპორტის სხვა სახეობიდან შემოსული (ბურთი, მოედანი, გუნდი, კარი, ძელი, ხარიხა, კაპიტანი, მსაჯი, სასტვენნი, ქულა, ფრე, ტაიმი, გოლი, ჯარიმა, აუტი, თამაშგარე, შუაგარემარბი ...)
- საბჭოთა ხანაში რუსულიდან ნათარგმნი (შერკინება, არეკნი, დერეფანი, მაისური ...)
- ბოლო 25 წლის განმავლობაში ინგლისურიდან ნათარგმნი (რაზმი, გარემო, გარდასახვა, კვაჭი, ბურჯი, ალალი, კიდე, ხეირი, უქმი ბურთი, ღერძი, შუბური ბოჭვა, დატრიალება, მორჩი, ჭიშკარი, ზედახორა, მგეზავი, მარბიელი, ჩარბენი, დაწიხლვა, ჩაწოლა, მიმღები, აილე და მიეძალე, ფალავნობა, ზერაგბი ...)
- ქართულ (აღმოსავლურ) მასალაზე დაფუძნებული (ლელო, კვართი, აბრაგანი, შვიდკაცა, მღლეტელი, მორკინალი, თულუხჩი, უნებლიე, განგებ, ზეზეურად, ზოზინი, გაჯანჯლება, ჩაქცევა, ჭოჭმანი, შალითა, მარქაფა, ყარაული ...)
- ჯერაც უთარგმნელი ან – არასათარგმნი (სინზინი = განსაწმენდელი; თერნოვერი = ბურთის შემობრუნება; ოფლოუდი = მოსროლა|ამოგდება; რეფერი, ბექი = მეზურგე; მოლი = ჯგუფად მიწოლა, რაქი, ჰავბექი ...).

### **გურამ გოგიშვილი**

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

### **თეიმურაზ ვეფხვაძე**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის გამოყენებისა და დახვეწის ზოგიერთი აქტუალური საკითხისათვის**

მათემატიკური ტერმინოლოგიის ათვისება, ძირითადად, სასკოლო ასაკიდან იწყება. არასწორად ან დამახინჯებით აღქმული ცნებები და სათანადო ტერმინები ისე გამყარდება ხოლმე ადამიანის მეხსიერებაში, რომ შემდეგ რთულია სწორი ფორმების აღდგენა. ამ ვითარებას ართულებს ისიც, რომ არ არსებობს ამჟამად გამოსაყენებელ ტერმინთა მკაცრად დადგენილი ნუსხა, დიდია მოზღვავებული უცხოენოვანი ტერმინების გავლენა, არასაკმარისია ქართული საზოგადოების ძალისხმევა ახალი ტერმინების მოძიებასა და დამკვიდრებაში.

მეოცე საუკუნეში ნათლად ჩამოყალიბდა აზრი ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობის აუცილებლობისა, შეიქმნა მათემატიკურ ტერმინთა საყურადღებო ლექსიკონები, რომლებშიც არაერთი ბრწყინვალედ მიგნებული ტერმინია. ისინი ისე ბუნებრივად შეერწყა დედაენას, რომ ზოგიერთი მათ ძირძველ ქართულ ტერმინებადაც კი მიიჩნევის. ასეთია, მაგალითად: „განტოლება“, „წრფე“, „ალბათობა“, „წირი“. აღსანიშნავია, რომ ლაკონიურობითა და გამომსახველი ჟღერადობით გამორჩეულმა „წრფემ“ საკმაოდ გვიან დაიკავა ეს საპატეო ადგილი „სწორი ხაზის“ ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ („სწორი ხაზი“, ალბათ, „Прямая линия“-სა და „Straight line“-ის სიტყვასიტყვით თარგმნით შემოვიდა ქართულში). „წრფემ“ ერთბაშად მოხსნა არაერთი ტერმინოლოგიური სირთულე. ასე მივიღეთ: „წრფივი ფუნქცია“, „წრფივი განტოლება“, „არაწრფივი განტოლება“ და სხვ. „წირი“ და მისგან ნაწარმოები ტერმინებიც რთულად იკვალავდნენ გზას „ხაზთან“ დაპირისპირებისას. დღეს, ძირითადად, „ხაზით“ იწარმოება წირის გავლენასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინი. მაგალითად, „ჩახაზული წრეწირი“, „ნახაზი“, „მხაზველობითი გეომეტრია“. ტერმინთა ინერცი-

ულობით უნდა აიხსნას, რომ „შუაწირის“ ადგილი ამჟამად კვლავ „შუახაზს“ უჭირავს.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ ტერმინი დრომ უნდა გამოცადოს - ტერმინებს შორის საუკეთესო თავად გამოდევნის მასზე უარესს. ჩვენი აზრით, მხოლოდ დროის იმედად ყოფნამ შესაძლოა დააკნინოს ენა, რადგან თვითდინებაზე მიშვებული, ზრუნვას მოკლებული ენა კარგავს დაცვის უნარს, ითვისებს მრავალ უხერხულ ტერმინს.

მსგავსმა მიდგომამ მოადუნა კრიტიკული დამოკიდებულება ტერმინთა და სახელთა მოძიებისა და გამოყენების მიმართ და მივიღეთ ისეთი კურიოზები, როგორებიცაა: „ვიეტას თეორემა“ („Теорема Виета“-ს უბადრუკი თარგმანი). ამ სახელით ფრანგი ვიეტის დებულება მრავალი წლის განმავლობაში მოიხსენიებოდა. „ორდინატი“ კი „ორდინატად“ მოგვევლინა რუსული „Ордината“-ს გავლენით. რთულად იკვლევს გზას „არითმეტიკული საშუალო“, რადგან მასწავლებლებისა და მშობლების თაობა რუსულის გავლენით შემოღებულ „საშუალო არითმეტიკულზე“ აღზრდილი. არავინ იტყვის „ვაშლი ტკბილი“ „ტკბილი ვაშლის“ ნაცვლად, რადგან აქ მსაზღვრელი უნდა უსწრებდეს საზღვრულს. მაშ რატომ დავუშვით: „საშუალო არითმეტიკული“, „საშუალო გეომეტრიული“? პედაგოგთა არცთუ მცირე ნაწილს „მხები“ „მხას“ მრავლობითი ფორმა ჰგონია და მოსწავლეებში ამკვიდრებს. რიცხვისა და ციფრის მნიშვნელობების აღრევის ერთ-ერთი ნიმუშია: „37 კენტი ციფრია“. ზოგიერთი სახელმძღვანელო ვერ ელევას ენის გასატეხ „პერპენდიკულარს“, „მართობს“ კი არ ცნობს. გაკვეთილზე მოისმენთ „ტანგესს“ („ტანგენსის“ ნაცვლად), „აბცისას“ („აბსცისას“ ნაცვლად). რთულად იკავებს კუთვნილ ადგილს „ცენტრული კუთხე“ („ცენტრალურ კუთხეს“ ზოგიერთი სახელმძღვანელო პოზიციას არ ათმობინებს). მყარადაა დამკვიდრებული „ეკვლიდური სივრცე“, თუმცა ამჟამად ანალოგიური კონსტრუქციები იცვლება უფრო მარტივით. ასეთია, მაგალითად, „ჰილბერტის სივრცე“. ასეთი თანაარსებობა, ცხადია, სავსებით მისაღებია. ანალოგიურად, „პროექციას“ სრულად ვერ ცვლის „გეგმილი“ (ვამბობთ: „პროექციული გეომეტრია“), თუმცა, სადაც ეს შესაძლებელია, „პროექციას“ „გეგმილი“ უნდა ვამჯობინოთ. მაგალითად, „მონაკვეთის გეგმილი წრფეზე“ სჯობს „მონაკვეთის პროექციას წრფეზე“. ხშირია „ჯამისა“ და „შეკრების“, „ნამრავლისა“ და „გამრავლების“ აღრევის შემთხვევები. მაგალითად, „შეკრების თვისებების“ (მოქმედების თვისებების) ნაცვლად გვთავაზობენ „ჯამის თვისებებს“ (მოქმედების შედეგის თვისებებს).

ზოგიერთი ადამიანი ყოფით თემებზე საუბარს „ამდიდრებს“ ხოლმე მათემატიკური შინაარსით, რათა თავი მოაწონოს მსმენელებს. მაგალითად, ყოველთვის, როცა ერთი სიდიდის ზრდა იწვევს მეორე სიდიდის ზრდას, ისინი აცხადებენ, რომ მეორე სიდიდე პირველის პირდაპირპროპორციულად იზრდება. ასეთი დასკვნა ხშირად არასწორ ინფორმაციას გვაწვდის, რადგან არ ემყარება ცნებათა შინაარსს.

ქართული ენის მდიდარი ლექსიკა ახალი მათემატიკური ტერმინების შექმნისა და ძველი ტერმინების დახვეწის შესაძლებლობას იძლევა. ეს მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე მათემატიკოსთა და ენათმეცნიერთა ერთობლივი, მუდმივი ძალისხმევით უნდა წარმოებდეს. მათვე უნდა დაამკვიდრონ და ნორმად აქციონ ეს ტერმინები.

## **ნინო დათეშიძე, მარინე ოსაძე**

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

## **შიდა და შიგა მსაზღვრელიან ტერმინთა დაზუსტებისათვის**

ტერმინოლოგიის კვლევა გულისხმობს როგორც ზოგად, ისე ცალკეულ, კონკრეტულ საკითხთა შესწავლას, რაც ხელს უწყობს მყარი ტერმინოლოგიური მოდელების შექმნას.

ტერმინის ძირითადი მახასიათებელი მისი მონოსემიურობაა. სწორედ ამიტომ სინონიმები ერთგვარ უხერულობას ქმნის და ხშირად ხელს უწყობს ტერმინთა ხმარების მცდარ გააზრებას. დროთა განმავლობაში ტერმინოლოგიური სისტემა ერთგვარ არჩევანს აკეთებს და ერთ მათგანს ანიჭებს უპირატესობას.

ცნობილია, რომ პირველადი ზმნისართები ხშირად ზედსართავის ფუნქციით გამოიყენება და მათი წარმომავლობა შესწავლილია. ისინი ტერმინოლოგიურ სისტემაში მყარ ტერმინოლოგიურ მოდელებს ქმნის, მაგალითად, *წინა ბურღი, გარე საცობი, ზედა ზღვარი, გარე ანოდი*.

მოხსენებაში განხილულია შიგა და შიდა მსაზღვრელიან ტერმინთა პარალელური გამოყენების შემთხვევები. მათი თავისუფალი მონაცვლეობა შეინიშ-

ნება სხვადასხვა ტერმინოლოგიურ ლექსიკონში. ძველ დარგობრივ ლექსიკონებში უპირატესობა შიდა ზედსართავს ენიჭება, ხოლო შემდგომ გამოცემულ ტერმინოლოგიებში მას შიგა ჩაენაცვლა, თუმცა ერთგვაროვნება მაინც არ არის დაცული.

შიგა და შიდა ზედსართავების გამოყენების არეალი ძალზე ფართოა. მათი პარალელური გამოყენების შემთხვევები დღესაც გრძელდება, რაც არასასურველია ტერმინოლოგიური სისტემისათვის. გარდა ამისა, სირთულეს ქმნის მათი დაწერილობის საკითხიც. სწორედ ამიტომ აუცილებელია გაირკვეს მიმართება შიდასა და შიგას შორის.

### **თამაზ ებანოიძე**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

### **რამდენიმე ახალი და „ძველი“ სიტყვა-ტერმინის შესახებ**

მოხსენებაში განხილულია ზოგიერთი სიტყვა თუ ტერმინი, რომლებიც სხვადასხვა დროს იყო შემოთავაზებული ავტორის მიერ და გახშიანდა გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „ქართული სიტყვის“ (განსაკუთრებით პირველის) ფურცლებზე: ოთხმოცწლოვანება, პურღვინობა, უფულისხმიერება, შრომგრძელობა, ემმაკწალებული, ტვინმორჩილი და სხვა.

მოყვანილია აგრეთვე რამდენიმე იუმორისტულ-სატირული სიტყვა-წარმოება, მომხსენებლის მიერ შემოღებული და პუბლიკაციებში ხმარებული: ორწყობილა, ხუმარსიმღერა, ჭინჭარსიტყვა, მაქციონალები, საპარლამენტო უმცირესობა, საპარლამენტო უმრავლესობა, ლარწალებული...

შევხებით ზოგიერთ ტერმინ-აბრევიატურასაც: ცესკო, სტუ, სმეა. ვისაუბრებთ ასევე ყველა დამკვიდრებულ ტერმინზეც – ეროვნული გამოცდების, აკადემიის აკადემიური საბჭოს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომლებიც, ჩვენი აზრით, „გადახედვას“ საჭიროებს.

ცალკე განვიხილავთ -ად ბოლოსართით ნაწარმოები მოდური ტერმინების საკითხს: ცნობადი, დასჯადი, განსჯადი, მიღწევადი, გმოზადი და სხვა.

## რუსუდან ზეჟალაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის ზოგიერთი მოსაგვარებელი საკითხი

სამედიცინო ტერმინოლოგია გამოირჩევა ლექსიკურ ერთეულთა მრავალფეროვნებით და ინტენსიურად მდიდრდება. მისი უმთავრესი სპეციფიკაა ლათინურ-ბერძნულ სიტყვათა სიმრავლე და მათი გამოყენება ტერმინთქმნადობის საფუძვლად სხვა ენებშიც. საკუთრივ ქართულ სამედიცინო ტერმინთა რაოდენობა პროცენტულად საკმაოდ მცირეა და ძირითადად მოიცავს ანატომიურ ლექსიკას. კლინიკურ ტერმინთა უმრავლესობა (დაავადებათა, სიმპტომთა, სინდრომთა სახელები) ბერძნული წარმოშობისაა, მაგრამ მიჩნეულია ინტერნაციონალურად და პრაქტიკული საჭიროების გამო ითარგმნება კიდევ, რაც ამდიდრებს დარგობრივ ტერმინოლოგიურ ფონდს.

კარგა ხნის განმავლობაში საქართველოში მოღვაწე მედიცინის მუშაკები სარგებლობდნენ რუსული ენის გზით შემოსული ტერმინოლოგიით, კალკირებული ცნებებით, რომლებიც ხელს უშლიდა ქართული სპეციალური ლექსიკის დახვეწა-გამდიდრებასა და დამკვიდრებას. დღევანდელი სამედიცინო ტერმინოლოგიური ფონდის სიმდიდრე ბევრი მეცნიერის ღვაწლის შედეგია (ივ. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ლ. კოტეტიშვილი, მ. შენგელია, ალ. ნათიშვილი, ზ. მაისურაძე, ნ. ყიფშიძე, ი. ქუთათელაძე, ლ. და ს. აბაშიძეები, ა. აბესაძე, რ. დგებუაძე და სხვ.).

მედიცინის წინსვლასთან ერთად იქმნება დარგობრივი ლექსიკონები, რომლებშიც უამრავი ახალი ტერმინი შედის. აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში შედგენილია 50-ზე მეტი ლექსიკონი: განმარტებითი, ენციკლოპედიური, თარგმნითი, ტერმინოლოგიური და სხვ. ეს პროცესი ახლა უფრო დაჩქარებულია, მაგრამ მოითხოვს კვალიფიციურ მიდგომას. ორთოგრაფიის თვალსაზრისით საკმაოდ ბევრი ტერმინოლოგიური საკითხია გადასაწყვეტი. ცხადია, მარტო სამედიცინო დარგის წარმომადგენელი ვერ შეძლებს არსებული პრობლემების მოგვარებას, რადგან აუცილებელია ლინგვისტ-ტერმინოლოგთან თანამშრომლობა. ამას ხელს შეუწყობს სამედიცინო ტერმინთა ორთოგრაფიული ლექსიკონი, რომელიც უფრო თვალნათლივ დაგვანახვებს ამ დარგის განვითარების ძირითად

ტენდენციებსა და გადასაწყვეტ პრობლემებს (კარგა ხანია, გამოსაცემად მომზადებულია ამ ტიპის ლექსიკონის ვრცელი ვარიანტი, თუმცა ვერ ხერხდება გამოქვეყნება).

გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია სამედიცინო ტერმინთა ორთოგრაფიის ელექტრონულ ცნობარს ([www.medgeo.net](http://www.medgeo.net) საიტზე განთავსებული სამედიცინო ორთოგრაფიული ლექსიკონი, შექმნილი პროექტ „ქართული ელექტრონული სამედიცინო ენციკლოპედიის“ ფარგლებში - ავტორი ლალი დათეშიძე; მუშაობის საწყის ეტაპზე სამუშაო ჯგუფმა კონსულტაცია გაიარა თეზისების ავტორთან), რომელშიც თავმოყრილია მართლწერის წესები ალგორითმის ფორმით. თითოეული ალგორითმი აღჭურვილია საილუსტრაციო მაგალითებით, რომელთა სანახავად მითითებულია შესაბამისი ლინკი. ვფიქრობთ, მართებულია გადაწყვეტილება, რომ დამუშავებულიყო სიხშირული ლექსიკონი „ქართული ელექტრონული სამედიცინო ენციკლოპედიის“ ტექსტების ბაზაზე. ამ დროს გამოვლენილ შეცდომათა სიხშირული მონაცემები დაედო საფუძვლად დასახელებულ ელექტრონულ ლექსიკონს.

ვფიქრობთ, სპეციალური ტექსტების, დარგობრივი და ელექტრონული ორთოგრაფიული ლექსიკონების ანალიზის შედეგად იკვეთება რამდენიმე მოსაწესრიგებელი საკითხი სამედიცინო ტერმინოლოგიაში: ლათინურ-ბერძნული წარმოშობის სიტყვების ქართულად გადმოტანის წესების დახვეწა (მაგალითად, ცალკეულ გრაფემათა და თანხმოვანთკომპლექსების შესატყვისების დადგენა); ინგლისური ენიდან ნასესხები ტერმინების გადმოქართულების ერთიანი პრინციპების შემუშავება; აბრევიატურათა გადმოტანის სპეციფიკა; სიტყვაწარმოების ზოგიერთი საკითხის გადაჭრა (მაგალითად, უცხოური სიტყვებისგან -ურ სუფიქსიან ტერმინთა წარმოება; სახელთა აფიქსური წარმოება; მაკავშირებელ ხმოვანთა არსებობისა და სიტყვაწარმოების საკითხი კომპოზიტებში); პრეფიქსოიდთა და სუფიქსოიდთა არაერთგვაროვნების დაძლევა; ეპონიმებში გამოყენებულ გვარ-სახელთა ტრანსლიტერაციის წესების შემუშავება და სხვ.

არსებული სამედიცინო ლექსიკონები საშუალებას გვაძლევს, გამოიყოს ამ სფეროში დამკვიდრებული ძირითადი ტერმინოლოგიური ყალიბები და სპეციფიკური მატერმინირებელი აფიქსები (უცხოური და ქართული აფიქსოიდები, -ად სუფიქსიანი სიტყვები, ნა- და სა-პრეფიქსიანი მიმღობები და სხვ.).

## ვახტანგ იმნაიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ა-ფუძიანი სახელების ერთი განსაკუთრებული ჯგუფის კვებისთვის

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია წესი, რომლის თანახმადაც ა-ფუძიანი საზოგადო სახელები, როგორც წესი, იკვეცება. გამონაკლისს ქმნის ის შემთხვევები, რომლებშიც ბოლოკიდური ა მაწარმოებელი აფიქსია. მისი დანიშნულებაა, გამოხატოს კნინობითობა, რაიმეს ქონება და მსგავსება ფერის, მოყვანილობის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

როგორაა წარმოდგენილი ა-ფუძიანი უკვეცელი სახელები „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“? ამ მიზნით განვიხილეთ ა-ფუძიანი უკვეცელი სახელების ერთი კონკრეტული სახეობა, კერძოდ, ფაუნა.

ა-ფუძიანი როგორც უკვეცელი, ისე კვეცადი სახელების შედარებამ გამოავლინა, რომ ბოლოკიდური ა ხმოვნის კვალიფიკაციის განსასაზღვრავად არ არსებობს მკვეთრი განმასხვავებელი საშუალება, ყველასთვის მისაღები კრიტერიუმი, რომელზე დაყრდნობითაც შევძლებდით სახელების განაწილებას კვეცადთა და უკვეცელთა ჯგუფებში. ზემოთ ნახსენები წესი სინამდვილეში ვერ მოქმედებს სრულფასოვნად, რადგან ძნელი დასადგენია, სიტყვის ბოლოკიდური ა ფუძის კუთვნილი ხმოვანია თუ სიტყვათმაწარმოებელი აფიქსი. ამიტომ მსგავსი აგებულების სიტყვები ხშირად სხვადასხვა ჯგუფში არის ჩარიცხული.

რადგან საზღვარი ამ ჯგუფებს შორის ლაბილურია. ამის გამო შესაძლებლად ჩავთვალო, ა-ფუძიანი სახელების კვეცა-უკვეცლობის შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული წესის ერთგვარად გამარტივებული ვარიანტი შემომეთავაზებინა ერთ-ერთ სტატიაში: ყველა საზოგადო სახელი, რომლებიც ა ხმოვნით მთავრდება, ნათესაობითში უნდა შეიკვეცოს (ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვის გარეშე. შესადარებლად – მრავლობითში ხომ ყველა სახის ა-ფუძიანი სიტყვა შეკვეცილია!). თუ ა-დაბოლოებიან სიტყვებს ნათესაობითში შევკვეცთ, არაფერი დაშავდება, რადგან ამით თავიდან ავიცილებთ ორჭოფობას მართლწერაში, რაკი ჩამოთვლილი სიტყვების დიდ უმრავლესობაში ა ხმოვნის შეკვეცა საგრძნობ სირთულეს არ



შეგვიქმნის და საზოგადო სახელებისთვის მარტივი წესი დამკვიდრდება, რაც გვიხსნის მერყეობისგან.

ამ მხრივ, ცალკე დგას ერთი განსაკუთრებული ჯგუფი, რომელში შემავალი სახელებისთვის ეს ერთგვარად შერბილებული წესიც კი ბოლომდე ვერ გვშველის. ამ ჯგუფში გაერთიანებულია იმგვარი ა-ფუძიანი სიტყვები, რომლებიც მომდინარეობენ მათს თანხმოვანფუძიან ვარიანტზე ა ხმოვნის დამატებით (მაგალითად: სალამური > სალამურა, ნაფოტი > ნაფოტა...), რის გამოც შემოთავაზებული წესის გამოყენებისას ხმოვან- და თანხმოვანფუძიანი ვარიანტების ფორმები ნათესაობითი ერთმანეთს დაემთხვევა და ჩვენ დამატებით საშუალებას უნდა მივმართოთ მათს გასამიჯნავად, რათა გამოვარკვიოთ, სიტყვის რომელ მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე.

ამ ჯგუფში შედის შემდეგი სახელები: **ბოსტანა** (=მახრა), **დედოფალა**, **ქარიშხალა**, **მახრჩობელა**, **კირკიტა**, **მარწუხა**, **ნაფოტა**, **სალამურა**, **წვერა**, **თრითინა**, **კირკიტა**, **წრუწუნა**, **ჭიჭყინა**, **ჭრიჭინა**...

მიიჩნევენ, რომ, რაკი ამოსავალ ფუძეზე ა სუფიქსის დამატება სიტყვას შინაარსს უცვლის, რაც ახლადწარმოქმნილ ფორმას სრულიად განასხვავებს თანხმოვანფუძიანი სიტყვებისგან, ამ სიტყვებს მაწარმოებელი ა არ უნდა მოეკვეცოს.

მე უფრო რადიკალური ნაბიჯის გადადგმის მომხრე ვარ: ზოგადი წესი რომ გამარტივდეს და უფრო ადვილად მოსახმარი გახდეს ყველა დონის მკითხველისათვის, დასაშვებად მიმაჩნია, ა-ფუძიანი სახელების ნათესაობითი მოკვეცილი ფორმები დავაკანონოთ, ხოლო ბუნდოვანებისგან თავის დასაღწევად (**სალამური** იგულისხმება თუ **სალამურა**) კონტექსტი მოვიშველიოთ. ის ადვილად გაგვარკვევს სიტყვის რომელ მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე: მაგალითისთვის: „სალამურის დაჭერა მინდა“ თუ წავიკითხეთ, კონტექსტით ადვილად დავადგენთ, **სალამურზეა** ლაპარაკი თუ **სალამურაზე**, სამაგიეროდ, **სალამურას** რომ აქამდე მიცემითიც იყო და ნათესაობითიც, ეს დამთხვევა მოიხსნება: **სალამურას** შემდგომში მხოლოდ და მხოლოდ მიცემითი იქნება, ნათესაობითი კი მას **სალამურის** შეცვლის. რითიც ნაკლები საფიქრალი დაგვრჩება მართლწერის თვალსაზრისით. ეს ცოტა არაა.

ერთ მომენტსაც უნდა მიექცეს ყურადღება: ზემოთ ნახსენები სახელებიდან პირველი ოთხი სხვებისგან გამოირჩევა, რადგან მათი თანხმოვანფუძიანი ვარიანტების ფუძე კუმშვადია, ხოლო ხმოვანფუძიანებისა იკვეცება, მაგრამ არ იკუმშება, ამის გამო სიტყვის თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუ-

მიანი ვარიანტები ერთმანეთს აღარ დაემთხვევა (მაგალითად: **ბოსტნის > ბოსტანის, დედოფლის > დედოფალის...**), ამას გარდა, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ამ ორ სახეობას შორის განსხვავება მრავლობითშიც გვექნება: მართალია, ა-სუფიქსიან სიტყვებს ბოლოკიდური ა მხოლოდობითში მოეკვეცება და ამგვარი სიტყვების დაბოლოება თანხმოვანფუძიანებისას დაემსგავსება, მაგრამ მათ ამავედროულად ძირისეული (შიგნითა) ა ხმოვანი არ შეეკუმშებათ, მაშინ როდესაც თანხმოვანფუძიან სიტყვებს ფუძისული ა შეკუმშული ექნებათ: **ბოსტნები > ბოსტანები, დედოფლები > დედოფალები.**

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში საშიშროება დამთხვევისა მოხსნილია, მაგრამ დანარჩენებში ის არსებობს, თუმცა ადვილი დასაძლევია კონტექსტის მოშველიებით.

**ირინა კვაჭაძე, რამაზ შენგელია, ნინო კილაძე, თეიმურაზ პეტრიაშვილი**  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

## **სამედიცინო ტერმინოლოგიის საკითხისათვის**

ახალი, უცხო სიტყვების შემოტანა და დამკვიდრება ენის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა. ეს შემოქმედებითი, რთული და საპასუხისმგებლო პროცესია. ქართული ენისთვის იგი გულისხმობს უცხო სიტყვების/ტერმინების ქართული ასო-ბგერებით გამოხატვას, მათგან ზედსართავი სახელების, სხვადასხვაგვარი მიმღეობის, აქტიური და პასიური მოქმედების გამომხატველი ზმნების წარმოებას, საკუთრივ შემოსული და მათგან ნაწარმოები სიტყვებისთვის ქართული ჟღერადობისა და მნიშვნელობის მინიჭებას. ამ გზით შედიოდა და შემოდის სპეციალური ტერმინები სამედიცინო ლექსიკაშიც, რითაც ვითარდება დარგის წერითი და ზეპირმეტყველება. ასეთი „დინებების“ მეოხებით ქართული ენა მედიცინის განვითარების ყველა ეტაპზე ზუსტად ასახავდა დარგში მიმდინარე მოვლენებს, მონაპოვარს და მიღწევებს.

ამასთან, ქართული ენის სიტყვაწარმოების წესების უგულვებელყოფა და ნორმათა დაუცველობა განაპირობებს სამედიცინო ტერმინოლოგიაში მცდარი ფორმების დამკვიდრებას.

უცხო წარმომავლობის ტერმინები (ლათინური, ინგლისური, გერმანული, ფრანგული და სხვ.) ქართულ ფონეტიკურ და მორფოლოგიურ წესებს უნდა დაექვემდებაროს, ანუ მოხდეს მათი ადაპტაცია.

დღეს მოღვაწე ქართველ მედიკოსებზე, განსაკუთრებით – აკადემიური წრეების წარმომადგენლებზე, ბევრადაა დამოკიდებული პროფესიული კულტურის შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტის – ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის აწმყო და მომავალი.

ცხადია, დაინტერესებული და კომპეტენტური ადამიანები არ აკლებენ შეძლებისდაგვარად მცდელობას ამ მნიშვნელოვანი საკითხის მოწესრიგებას; ბოლო ათეული წლების მიღწევათაგან იგულისხმება: პირველი წიგნი სამედიცინო ტერმინთა მართლწერისთვის (პროფ. თ. დეკანოსიძე და თანაავტ., 1996), სამედიცინო ტერმინოლოგიის ორთოგრაფიის ონლაინ სახელმძღვანელო (ლ. დათეშიძე, 2009), ორთოგრაფიული ლექსიკონი (ლ. დათეშიძე, 2012); თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ენციკლოპედიის ეგიდით 2003–06 წწ. შედგენილია სიტყვანი (50000 ერთეული), ჩატარებულია 40 ექსპედიცია ხალხური სამედიცინო ტერმინების მოსამიებლად, აღწერილი და შესწავლილია 500 სამედიცინო ხელნაწერი სამედიცინო ტერმინებითურთ, რომელთა გარკვეული ნაწილის „რეანიმაციაზე“ მსჯელობაა საჭირო; ნაყოფიერად ფუნქციონირებს ივ.ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი, მუშაობს რა ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ელექტრონული ლექსიკონის შედგენაზე.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მცდელობათა მიუხედავად, ქართულ კვლევით თუ აკადემიურ ლიტერატურაში საკმარისად მასშტაბურია მართლწერითი შეცდომები თუ უზუსტობანი. ისინი დადგენილი წესების/ნორმების არცოდნითაა გამოწვეული (1), ან/და ამა თუ იმ ტერმინის ორთოგრაფიული სტანდარტის არარსებობით განპირობებული (2).

როგორც ჩანს, ენათმეცნიერთა და ბუნებისმეტყველთა დამოუკიდებელი, თუნდაც - ურთიერთკონსულტაციით, მცდელობანი სამედიცინო ტერმინოლოგიის მართლწერის სტანდარტების დადგენისა და პოპულარიზებისთვის საკმარისი არაა. დროთა განმავლობაში არასწორი სიტყვაწარმოების შედეგად მიღებული სამედიცინო ტერმინების არამართებული ფორმების აქტიური გამოყენების და მეტყველებაში დამკვიდრების გამო იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს „ფორმა“ გრამატიკული ძალის მქონეა. რეალურად კი უმართებულო წარმოებით

მიღებული სიტყვები, ენის დამახინჯების გარდა, მოვლენის შინაარსს გაუგებარს ხდის, მეტიც - ართულებს მის სწორ აღქმას და ინტერპრეტაციას.

ამასთან, ისიც უდავოა, რომ მედიცინაში ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრებული თუნდაც საორჭოფო მართლწერითი შემთხვევების დღეს უპირობო, იმპერატიული შეცვლა გაუმართლებელი, ზოგჯერ კი – შეუძლებელია.

ჩვენი აზრით, სამედიცინო მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სწრაფი ტემპის და ქართული სიტყვაწარმოების წესების დაცვის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე აუცილებელი და საშურია ენათმეცნიერებისა და მედიკოსების შემადგენლობით ჩამოყალიბდეს **ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის დამდგენი დისციპლინათმორისი/ ინტერდისციპლინური ჯგუფი**. მის უპირველეს ამოცანად გვესახება არა კონკრეტული ტერმინების დაზუსტება (ამის სრულიად განხორციელება მეტად ხანგრძლივი და ამიტომ – არაეფექტური პროცესია), არამედ **ქართული სამედიცინო ტერმინთწარმოების ორთოგრაფიული წესების ალგორითმის/-ების დადგენა და პოპულარიზება**. ამ ჯგუფის ნაყოფიერი მუშაობა, უპირველესად, მედიკოსთა აკადემიური და პროფესიული სფეროების, ასევე, მომიჯნავე დარგების წარმომადგენელთა მაქსიმალურ ჩართულობას, უნივერსიტეტების აქტიურ მონაწილეობას და მხარდაჭერას საჭიროებს.

**თინათინ მარგალიტაძე, გიორგი მელაძე, გელა ხუნდაძე**

თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრი

## **ორენოვან დარგობრივ ლექსიკონებზე მუშაობის პრობლემები და სირთულეები**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლექსიკოგრაფიული ცენტრის“ შემოქმედებით გუნდს ინგლისურ-ქართულ სამხედრო ლექსიკონსა და ინგლისურ-ქართულ ბიოლოგიურ ლექსიკონზე მუშაობის პროცესში გარკვეული გამოცდილება დაუგროვდა. გვინდა მოკლედ აღვწეროთ ის პრობლემური და რთული საკითხები და მათი მოგვარების ხერხები,

რომლებიც, ჩვენი აზრით, ლექსიკოგრაფებისა და ენათმეცნიერების ყურადღებას იმსახურებს.

სამხედრო ლექსიკონზე მუშაობამ გამოავლინა, რომ ქართველი ტერმინოლოგებისა და ენათმეცნიერების მიერ თავის დროზე დიდი რუდუნებით შემუშავებული სამხედრო ტერმინები დღევანდელ ქართველ სამხედროთა მეტყველებაში მყარად დამკვირდებული არ არის. ასე მაგალითად, „ტექნიკურ ტერმინოლოგიასა“ და „სამხედრო ლექსიკონში“ შემუშავებული ტერმინის – „ლულის კუთხვილის“ ნაცვლად ჩვენი სამხედროები მათს წიაღში სპონტანურად შემუშავებულ ტერმინს, „ნაჭდევს“, ხმარობენ. მსგავსი მაგალითები სხვაც ბევრი შეგვხვდა.

ამასთანავე, საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პერსონალთან თანამშრომლობის პროცესში გაირკვა, რომ აკადემიის სხვადასხვა ფაკულტეტზე ერთსა და იმავე საგანს თუ მოვლენას სხვადასხვა ლექტორი სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავდა, რასაც თავად სამხედრო პირები მეტად უარყოფითად აფასებენ.

ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა ჩვენი გადაწყვეტილება, ინგლისური სამხედრო ტერმინების ქართული ეკვივალენტებისათვის დაგვერთო მცირე დამაზუსტებელი თუ მიმანიშნებელი განმარტებები.

ამგვარი განმარტებების დართვის აუცილებლობა თვალნათლივ გამოჩნდა ინგლისურ-ქართულ ბიოლოგიურ ლექსიკონზე მუშაობის დროსაც. მართლაც, adhesion – ადჰეზია, anagenesis – ანაგენეზი, clone – კლონი ტიპის ინგლისურ-ქართული ტერმინების ყოველგვარი განმარტებისა და დამაზუსტების გარეშე ჩამოწერა მკითხველისთვის ინფორმაციულად სასარგებლო ვერ იქნებოდა.

ცალკე საუბრის თემაა ქართულ ენაში ბოლო წლებში მოზღვავებული ტერმინოლოგიის ქართული შესატყვისობების შექმნის სტრატეგია. ეს შეიძლება მოხდეს უცხოური ტერმინებისთვის პარალელური ქართული ფორმების შერჩევის, საზოგადოებისთვის შეთავაზების, მხოლოდ ქართული ტერმინის შექმნის ან საერთაშორისო ტერმინის დამკვიდრების გზით. მაგალითად, ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: „გენი“, „კლონი“, „ქრომოსომა“, ცხადია, ენაში ამ ფორმითაა დამკვიდრებული და მისთვის ქართული ეკვივალენტის შექმნა ამაო გარჯა იქნება. მაგრამ, მაგალითად, ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინისთვის **gene gun** ჩვენ შევიმუშავეთ ჩვენ მიერ კონსულტანტ-ბიოლოგთან ერთად შექმნილი ქართული ტერმინი „გენსატყორცნი“, რომელსაც მცირე განმარტებაც დავურთეთ, რათა გასაგები იყოს, რა რიგის მოვლენასთან გვაქვს საქმე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია სპეციალისტთა ფართო დისკუსია და შეჯერებული სტრატეგიის შემუშავება, რაც მისაღები იქნება, ერთი მხრივ, ქართველი ლექსიკოგრაფებისათვის და, მეორე მხრივ, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის.

დარგობრივ ლექსიკონებზე მუშაობის შედეგად აგრეთვე გამოიკვეთა ზოგადად ქართული ტერმინოლოგიის პრობლემა: საჭიროა სამხედრო და ზოგადად ტექნიკურ სფეროში შემუშავებული და „თაროზე შემოდებული“ ტერმინების გაცოცხლება და ყოველდღიურ მეტყველებაში დანერგვა.

ბიოლოგიურ ლექსიკონზე მუშაობისას მოულოდნელად უცხოური წარმოშობის ტერმინების მართლწერის პრობლემაც წამოიჭრა: როგორც აღმოჩნდა, ქართველი ბიოლოგები და მედიკოსები (როგორც ჩანს, რუსული, ნაწილობრივ, შესაძლოა აგრეთვე ინგლისური ენის გავლენით) უმართებულოდ ამბობენ „აუტოიმუნურს“, „ეუკარიოტს“, „ეუქრომატულს“ და ა.შ., ნაცვლად სწორი, ქართულისთვის ბუნებრივი და ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმებისა „ავტოიმუნური“, „ეკარიოტი“, „ეექრომატული“ და ა.შ. თანაც სწორი „ავტო-“, „ევ-“ პრეფიქსებით დაწყებული ფორმების ხმარების აუცილებლობის აზრიც კი მათში გარკვეულ მიუღებლობას და აგრესიასაც იწვევს.

გამოვეფთ კიდევ ორ პრაქტიკულ მეთოდს, რომლებიც ჩვენი ხანგრძლივი ლექსიკოგრაფიული საქმიანობისას გამოიკვეთა:

პირველი ეს გახლავთ ლექსიკონებში ცალკე ერთეულებად ზოგიერთი მყარი შესიტყვების შეტანა, ვინაიდან სიხშირული ანალიზისა და კორპუსული ლინგვისტიკის მონაცემთა მიხედვით, ელექტრონული ცნობარებისა და ლექსიკონების მომხმარებლები განსაკუთრებით ხშირად სწორედ ცალკეულ მყარ შესიტყვებებს ეძებენ.

ამ თემას უკავშირდება ჩვენ მიერ სიხშირული ანალიზისა და ზოგადად ელექტრონული კორპუსების გამოყენება. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სინონიმების პრიორიტეტულობა და ძირითად სიტყვა-სტატიებად ჩვენს ლექსიკონებში ყველაზე ხშირად ხმარებული და, ამდენად, აქტუალური სიტყვები შევიტანოთ.

ყველა ამ პრობლემისა თუ სირთულის ანალიზმა „ლექსიკოგრაფიული ცენტრის“ თანამშრომლები მიგვიყვანა აზრამდე, რომ საჭიროა არსებობდეს ან აღდგეს. ლინგვისტიკისა და ლექსიკოგრაფებისგან შემდგარი გარკვეული სამეცნიერო ორგანო თუ ჯგუფი, რომელიც ტერმინების შემუშავებასა და დანერგვა /

პოპულარიზაციაზე იმუშავებდა და რომლის რეკომენდაციებსაც გარკვეული სა-  
ვალდებულო ძალა ექნებოდა. სხვაგვარად ინფორმაციის საყოველთაო ხელმი-  
საწვდომობისა და გლობალიზაციის პირობებში უცხოური ტერმინების მოზღვა-  
ვებისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იქნება.

### **თამარ მახარობლიძე**

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

### **ტერმინთა პრობლემა ქართულ ჟესტურ ენაში**

ყრუები საქართველოში წარმოადგენენ ლინგვისტურ უმცირესობას, რომელთა უფლებების დაცვას სახელმწიფო ცდილობს შესაბამისი კანონე-  
ბით. საქართველოს კანონში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა  
სოციალური დაცვის შესახებ (მუხლი №5) აღნიშნულია: „სახელმწიფო ცნობს  
ჟესტების ენას პიროვნებათშორისი ურთიერთობის საშუალებად და უზრუნ-  
ველყოფს აუცილებელი პირობების შექმნას მისი გამოყენებისა და განვითარ-  
ებისათვის“. საერთოდ, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ჟესტურ ენებს გამოიყე-  
ნებენ ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანები. საქართველოში ყოველი სა-  
ხელმწიფო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს ყრუთა მომსახურე-  
ბა სურდოთარჯიმნებით. შესაბამისად, საჭიროა, რომ საგანმანათლებლო და-  
წესებულებებში ისწავლებოდეს ასეთი სპეციალობა. მნიშვნელოვანია ის ფაქ-  
ტიც, რომ განათლების კანონში 2010 წელს შევიდა ცვლილება, რომლის მი-  
ხედვითაც ”სენსორული დარღვევის მიმართულებით სპეციალიზებულ სკო-  
ლაში, სადაც განათლებას იღებენ სმენადარღვეული მოსწავლეები, გამოიყე-  
ნება ჟესტების ენა და მისი ანალოგები“. იმისთვის რომ სწავლება ქართულ  
ჟესტურ ენაზე რეალურად შესაძლებელი გახდეს, საჭიროა ამ ენის გამო-  
კვლევა და რიგი სამეცნიერო სამუშაოების ჩატარება, კერძოდ, ლექსიკონების  
შექმნა, გრამატიკული კატეგორიების დეტალური ანალიზი, ენის ნორმების  
დადგენა, მეთოდის შემუშავება, ენის დონეების განსაზღვრა და ა.შ.

საერთოდ, ყრუთა თემის წევრები შემოქმედებითი ხალხია და ხშირად  
ისინი თავად ქმნიან ჟესტებს. არის ოჯახები, რომელთაც არ იციან იმ ქვეყ-

ნის ჟესტური ენა და თავისი ოჯახის ყრუ წევრებთან ურთიერთობენ გამო-გონილი ჟესტებით ან, უმეტეს შემთხვევაში, იზოლაციაში არიან კომუნიკაციური პრობლემის გამო. ამდენად, ჟესტური ენის ცოდნა ყრუთათვის აუცილებელია მათსავე საზოგადოებაში სრულფასოვანი წევრობისთვის. საერთოდ, ყრუთა თემის წევრებისათვის დამახასიათებელია ბილინგვიზმი – ჟესტური და სამეტყველო ენების ცოდნა. ამრიგად, სათანადო ჟესტური ტერმინებისა და, საერთოდ, ქართული ჟესტური ენის ლექსიკონის შექმნა არის ამ თემისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი, რადგანაც ყრუთა და სმენადაქვეითებულ ადმიანთა ყველა პრობლემა კომუნიკაციას უკავშირდება. ამ პრობლემების გადაჭრა კი შესაბამისი ლინგვისტური სამუშაოთაა შესაძლებელი. ამჟამად მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში წარმატებით მიმდინარეობს ჟესტური ენების კვლევები და ძალზე სამწუხაროა, რომ დღესდღეობით ქართული ჟესტური ენის მიმართულებით მხოლოდ ორიოდ წიგნი გვაქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში ქართული ჟესტური ენა განიცდიდა რუსულის გავლენას. ამ ენობრივი დომინანტის კვალი ნათლად ჩანს როგორც ძველ ანბანში, ასევე ლექსიკაშიც. ფაქტობრივად, რუსული ჟესტური ენა საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის ხალხების ჟესტურ ენებს და საბოლოოდ მივიღეთ ერთიანი საბჭოთა ჟესტური ენა, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა ყრუთა საკომუნიკაციოდ ამ სივრცეში. ყრუ ადამიანები დღესაც ინარჩუნებენ ურთიერთობას ამ ენაზე. თუმცა უკვე მიმდინარეობს ჟესტურ ენათა ნაციონალიზაცია და დაწყებულია რეინტეგრაციის პროცესი. ლექსიკისაგან განსახვავებით, ჟესტური ენის გრამატიკული დონეები შედარებით თავისუფალია რუსული ზეგავლენისა და ნასესხობებისაგან. თუმცა მიმდინარე ეტაპზე ლექსიკაში მომხდარი ცვლილებები ყველაზე უკეთ ასახავენ ამ ნაციონალიზაციის პროცესს.

ლექსიკონზე მუშაობისას ყველაზე მეტი ძალისხმევა სჭირდება ტერმინთა საკითხს. ამ ენაზე ტერმინთა უმეტესობა არ არსებობს. ამ კუთხით დგას მრავალი პრობლემა დაწყებული სასკოლო სახელმძღვანელოების დონეზე საგნობრივი ტერმინოლოგიიდან და დამთავრებული პროფესიული ტერმინებით. აქ ჩასატარებელია სამეცნიერო ტიპოლოგიური კვლევები და დიდი შემოქმედებითი ხასიათის სამუშაო ყრუ წყაროებთან ერთად, რათა შეირჩეს საბოლოო ვერსიები ამა თუ იმ კონკრეტულ ტერმინთან დაკავშირებით.



---

## თინა მიქაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

### ორთოდონტიის სამეცნიერო ენის პრობლემები

საქართველოში ორთოდონტიის განვითარება დაიწყო 1957–1958 წლებიდან. 1979 წლიდან დაარსდა ბავშვთა სტომატოლოგიის კურსი, რომელშიც ცალკე მიმდინარეობად გამოიყო ორთოდონტიის საგანი. ამ დროის განმავლობაში საქართველოში მოღვაწე ორთოდონტებმა შეძლეს ქართული ორთოდონტიის ფრაზეოლოგიის შექმნა, მაგრამ მაინც დიდწილად გამოიყენებოდა რუსული ფრაზეოლოგია. ვითარებას ართულებდა ისიც, რომ ამ პერიოდში დისერტაციები (სამედიცინო ნაშრომები) ძირითადად რუსულ ენაზე იწერებოდა. საგნის ქართულ ენაზე სწავლებამ მწვავედ დააყენა საკითხი ორთოდონტიაში ქართული ფრაზეოლოგიის დახვეწისა და ჩამოყალიბების შესახებ, რაც, ძირითადად, ექიმი ორთოდონტების მიერ მიიღწეოდა. ექიმი ორთოდონტების მიერ შექმნილი ტერმინები რამდენად გამართულია ენობრივი ნორმების თვალსაზრისით, ამას ექიმები ვერ განსჯიან. ბოლო ხანებში სიტუაცია გართულდა ინგლისური ფრაზეოლოგიის შემოსვლითაც, საჭირო და აუცილებელია, ექიმებისა და ენათმეცნიერების ერთობლივი მუშაობით დაიხვეწოს ტერმინები და ფრაზეოლოგია ორთოდონტიაში ქართულ ენაზე და გამოიცეს წიგნი „ორთოდონტიის ტერმინოლოგია და ფრაზეოლოგია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე“

## დამანა მელიქიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ძველი ქართული მწიგნობრული სკოლების გამოცდილების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული სპეციალური ტერმინოლოგიის განვითარებისათვის

1. სპეციალური ტერმინოლოგია მეცნიერული ენის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, მეცნიერული ენა კი ისტორიული ცნებაა. მისი ლექსიკა თავისი განვითარების მანძილზე გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ამ

ცვლილებებს კი, გარდა იმ პროცესებისა, რომლებსაც საკუთრივ ენის განვითარების შინაგანი კანონები განსაზღვრავენ, ხშირად ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც განაპირობებენ, როგორებიცაა, მაგ., თვით ამა თუ იმ მეცნიერების განვითარების დონე, პირობები და თავისებურებანი ერის (// სახელმწიფოს) ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა უცხოენოვანი კონტაქტებისა და, შესაბამისად, გავლენების მონაცვლეობა, და ბოლოს, თვით ერის (// სახელმწიფოს) ნება: აქტიურობა თუ ინერტულობა (ზოგჯერ ინდიფერენტობაც კი).

2. ამ მხრივ ძველ ქართველ მოღვაწეთა გამოცდილების გაზიარება დღეს საშურ საქმედ მიგვაჩნია: ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ამ პროცესს შეიძლება თვალი გავადევნოთ პირველი წერილობითი ძეგლებიდან მოყოლებული, V საუკუნიდან.

3. ძველ მოღვაწეთა ტერმინშემოქმედებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათი პრინციპების მიხედვით ტერმინი უნდა შექმნილიყო ქართული ძირებისა და აფიქსების საშუალებით: ტრანსლიტერაცია და სესხება იშვიათი გამონაკლისი იყო; ტერმინს ზუსტად უნდა აესახა შესაბამისი ცნების შინაარსი, უნდა ყოფილიყო გამჭვირვალე, მოტივირებული; ტერმინი გამორჩეული უნდა ყოფილიყო ყოფითი ლექსემისაგან როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური სისტემურობით; ტერმინსა და ცნებას შორის ცალსახა მიმართება უნდა ყოფილიყო: ტერმინი მონოსემიური უნდა ყოფილიყო; ტერმინი უნდა ყოფილიყო მოკლე და სხარტი.

4. ამ პრინციპების განხორციელება ყოველთვის შეუძლებელი იყო და ახლაც შეუძლებელია, რამდენადაც მეცნიერული ენა, ისევე, როგორც საზოგადოდ, ყოველი ცოცხალი ენა, არ არის სტატიკური და განვითარების კანონებს ემორჩილება, მაგრამ ამ იდეალური სისტემურობისაკენ სწრაფვა მოითხოვდა „ენის კვლოვნებისა და ღრამმატიკოსობის“ დაუფლებას, ენის „აობისა (არსის) და ქცევის (ფორმაცვალების)“ შესწავლას, სიტყვათა „შეწყობისა და დაშლის“ (სინტაქსის) ოსტატობაში გაწაფვას, სიტყვის არსში წვდომას და ამ გზით ტერმინის „ეტიმოლოგიის“ („მზამეტყველების“) ანუ მოტივაციის დადგენას (იოანე პეტრიწი).

---

ანა მესხი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი

## შუმერული მეტროლოგია და ქართველური ენები

კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს ტევადობის აღმნიშვნელი შუმერული მეტროლოგიური სისტემის ძირითადი ერთეულის – *სილა* (*სილა*) – ლინგვისტური და კულტურულოგიური ანალიზი ქართველური მასალის გამოყენებით. კვლევამ აჩვენა, რომ, როგორც სხვა გამოკვლევებში, ამ შემთხვევაშიც, ქართველური მასალა „შედარების სტანდარტის“ ფუნქციას არ ღალატობს და აღნიშნული ტერმინის (*სილა*) სრულ ეტიმოლოგიას გვთავაზობს; კერძოდ, ირკვევა მისი ქართველური წარმომავლობა, რომელიც აღადგენს ტერმინის თავდაპირველ ფონეტიკურ მხარეს, მოხაზავს პოლისემანტიკური კუთვნილების არეს და აკმაყოფილებს შუმერული ლექსიკოგრაფიული ფორმულის (*ნიშანი შიკითხება როგორც ღ, როდესაც ის ნიშნავს M-ს*) რთულ მოთხოვნებს. მიღებული შედეგების მნიშვნელობა მრავალმხრივ არის საინტერესო: ა) ნათელი ეფინება გაურკვეველი წარმომავლობის მქონე ტერმინის (*სილა*) კუთვნილებას; ბ) ხდება წინალიტერატურული პერიოდის (ურუკ IV-III) შუმერულის ურთულეს და ბნელით მოცულ ენობრივ სისტემაში შეღწევა; გ) კვლავ დასტურდება ასირიოლეგების მიერ ჯიუტად უარყოფილი ქართველური ენების ჩართვის აუცილებლობა ახლო აღმოსავლეთის პრობლემათა კვლევაში. ეს უკანასკნელი კი განათლებული კაცობრიობის წარსულის კვლევის სრულიად ახალ პერსპექტივებს შლის.

## ნათელა მუზაშვილი, ინგა ჯიბუტი

ოსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

### ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალი რედაქციისათვის

სამეცნიერო ენის საფუძველი გამართულ ტერმინთა სისტემაა. ვერცერთი დარგი, ჰუმანიტარული თუ ტექნიკური, გვერდს ვერ აუვლის იმ რთულ პროცესს, რომელიც გულისხმობს ზუსტი შესატყვისობის დადგენას ცნებასა და ტერმინს შორის. ტერმინთა შექმნისა და დამკვიდრების სირთულე ყველა დარგის ტერმინთა სისტემას შეეხება. ახალი დარგების გაჩენა უახლეს ცნებებს ამკვიდრებს, რომელთა ზუსტი შესატყვისი ტერმინების შექმნა რთულია. ამ მხრივ სავალალო შედეგი გვაქვს. ცნებები და ტერმინები ხშირად ამა თუ იმ ენის მცოდნის მიერ ითარგმნება სპეციალისტებთან შეუთანხმებლად და ეს ჭრელ სურათს იძლევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინგლისურ ტერმინთა მოზღვავება, რომლებიც ხშირად ბარბაროსულად მკვიდრდება; არცთუ იშვიათია, როცა რომელიმე ცნება განსხვავებული ტერმინებით არის გადმოცემული, მაგალითად: barrier layer – „ბარიერული შრე“, „თარჯშრე“; gradient, difference – „ვარდნილი“; „სხვაობა“; „შხივი“; replenishment – „დამატებით კვება“, „მიკვება“, „ვსებკვება“; strand – „წნა“, „კულული“ და ა. შ.

დღევანდელ დღეს, როცა ცნებებისა და ტერმინთა მოზღვავებაა, ნორმირებული და უნიფიცირებული ლექსიკონის შედგენა და მომხმარებლისათვის მიწოდება მეტად მნიშვნელოვანი და საშური საქმეა. ახალი ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნა სწორედ ამ მიზანს ემსახურება. პირველი რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი 1920 წელს გამოსცა ტექნიკურმა საზოგადოებამ. მრავალი ტერმინი სწორედ ამ ლექსიკონიდან დამკვიდრდა: წნევა, სინჯარა, ნათურა, ძრავა და სხვ. თუმცა მაშინდელი ქართული საზოგადოების ნაწილის აზრით, მრავალი ტერმინი ხელოვნურ ხასიათს ატარებდა. ლექსიკონის ნაკლად ჩაითვალია თითქმის ყველა საერთაშორისო სიტყვის გაქართულება. 1921 წლიდან ტერმინოლოგიური მუშაობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად იქცა. 1935 წელს ვუკოლ ბერიძის რედაქტორობით გამოიცა „ტექნიკური ტერმინოლოგია“, დაახლოებით 11 000 სიტყვა. მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ვ. ბერიძის სიტყვები: „ერთიანი ტერმინოლოგიის უქონლობა არც ერთ სხვა დარგში არ იწვევს ისეთ მძიმე შედეგს, როგორსაც ტექნიკურ სინამდვილეში. ჭრელი ტერმინოლოგია აქ ყველაზე უფრო აუტანელია“. ლექსიკონის დამუშავებაში წამყვანი სპეციალისტებისა და ენათმეცნიერების მთელი არმია მუშაობ-

და. ამას მოჰყვა 1957 წლის ტერმინოლოგია ვ. ბერიძის, რ. დვალისა და რ. ლამბაშიძის რედაქციით, რომელიც 50 000 ტერმინს მოიცავდა.

ბოლო ტექნიკური ტერმინოლოგია 1977 წელს გამოიცა. იგი ლინგვისტიკისა და ტექნიკოსების ერთობლივი მუშაობის შედეგია. მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი დარგობრივი ლექსიკონების უმეტესობის საფუძველი სწორედ მასში განთავსებული მასალაა.

1977 წლის ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოცემის შემდეგ მუშაობა არ შეწყვეტილა, წლების განმავლობაში ივსებოდა კრებსითი ტერმინოლოგიის ფონდი, მასალას გვაწვდიდნენ დარგის სპეციალისტები და ერთობლივ სხდომებზე დგინდებოდა თითოეული ტერმინი, იმართებოდა ენობრივი ნორმების მიხედვით. შეიქმნა დიდი ფონდი, რომელიც ამჟამად სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში ინახება და ფართო საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელია. ფონდში გაცხრილულია მოძველებული ტერმინები, დამატებულია ახალი მასალა, დაახლოებით 20 000 ტერმინი და, ბუნებრივია, მასში აისახება უახლესი ტერმინებიც.

ტერმითშემოქმედება რთული პროცესია. იგი უნდა ემყარებოდეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ტერმინის უმთავრესი მახასიათებელი გამჭვირვალობა და სიმოკლეა. უახლესი ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალი მასალა ტრადიციულად ცნებისა და ტერმინის ზუსტ შესატყვისობებს დაემყარება, რაც დაფუძნებული იქნება ლინგვისტიკურ კვლევებზე. გასათვალისწინებელია ის, რომ ტერმინოლოგია ენის ქვესისტემაა. მართალია, ტერმინთწარმოება სალიტერატურო ენის ნორმებს ექვემდებარება, მაგრამ ზოგჯერ სპეციფიკური ნორმების შემუშავებაა საჭირო. ასე შეიქმნა ტერმინები: „ქვეში“, „ქვედი“, „შეთანწყობა“ (arrangement თვითმფრინავის ხელსაწყოების, სისტემის აგრეგატებისა და ა.შ. გამთლიანება), „თანადერძულობა“ (coaxiality) და სხვ.

ლექსიკონს ექნება როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული სახე. შეიქმნება 18 ტექნიკური დარგის 80 000-მდე ნორმირებული, უნიფიცირებული ტერმინი. ელექტრონული ვერსია საშუალებას მოგვცემს ფონდი მუდმივად განვაახლოთ. უნივერსალური საძიებო სისტემა მომხმარებლებს ლექსიკონით სარგებლობას გაუადვილებს. მასში შესაძლებელი იქნება ტერმინების (როგორც ერთსიტყვიანი ტერმინის, ისე ტერმინოლოგიური შესიტყვების) მოძიება დარგების, სინონიმების, ომონიმების, პოლისემიური ტერმინების მიხედვით. ფონდი მუდმივად განახლდება. ახალი ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი იქნება პირველი ნაბიჯი მასშტაბური მრავალდარგოვანი ლექსიკონისა, რომელიც ახალ დარგებს და ტერმინებს გააერთიანებს.

## სალომე ომიამე

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

### ლექსემა „ტერმინის“ ხმარებისათვის

კომუნიკაციური პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია ორი ტიპის ცოდნის დაპირისპირება–სიღრმისეულისა და ზედაპირულის, რომელსაც სხვაგვარად მაორიენტირებელი ცოდნაც შეიძლება ეწოდოს. ამ უკანასკნელის არე გაცილებით ფართოა, ვიდრე სიღრმისეულისა. მათ შორის არსებითი სხვაობა ისაა, რომ სიღრმისეული ცოდნა სტაბილურია, იგი რწმენაში გადაიზრდება და პიროვნების საფუძველი ხდება, ზედაპირული ცოდნა კი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მუდმივ ცვლილებას განიცდის. შეგვიძლია ავხსნათ და აღვწეროთ მხოლოდ ის, რაც კარგად ვიცით, მაგრამ თემატურად, ზოგადად, მიახლოებით ვახასიათებთ იმას, რაც ნაკლებად ვიცით. ენაში არსებული წყვილი „ცოდნა-ცნობა“ კარგად გვიჩვენებს ამ სხვაობას. სწორედ სხვადასხვა ცოდნის არსებობის დასტურია შემდეგი ერთეულებიც – **ვხვდები, მესმის, ვიგებ, ჩახედული ვარ**, რომელთა მიერ გამოხატული შინაარსის მოცულობა ნაკლებია, ვიდრე „ვიცი“ ფორმაში ნაგულისხმევი.

ყოფითს დისკურსში მხოლოდ მაორიენტირებელი ცოდნით ოპერირება არანაირ პრობლემას არ ქმნის, რაც იმითაა განპირობებული, რომ ყოფითი მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სიტყვიერ ნიშანთა მინიმალური რაოდენობაც საკმარისია, უფრო მეტიც, ეს ნიშნები ხშირად დამატებითი, შემავსებელი ფუნქციისაა, ფატიკურ როლს ასრულებს და უმეტესად კომუნიკანტებს შორის კონტაქტის არსებობას მოწმობს მხოლოდ. იმავეს ვერ ვიტყვით სხვა ტიპის დისკურსებზე, განსაკუთრებით, სამეცნიეროსა და მასმედიურზე.

მოხსენებაში სიღრმისეული ცოდნის უქონლობისა და მაორიენტირებელი ცოდნის უკმარობის საილუსტრაციოდ განხილული იქნება ლექსემა „ტერმინის“ უმართებულო ხმარების შემთხვევები. სახელდობრ, გაანალიზებული იქნება კონტექსტები, რომლებშიც „ტერმინად“ სახელდებულია საერთო სალიტერატურო ენის ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეულები – ნებისმიერი სიტყვა თუ გამონათქვამი, იდიომები, რითაც უგულებელყოფილია ტერმინის, როგორც განსაკუთრებული ენობრივი ნიშნის, ძირითადი მახასიათებლები – დეფინიციურობა, კონვენციურობა და სისტემურობა.

## ვლადიმერ პაპავა

აკადემიკოსი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

### თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია: ახალი პრობლემები და ძველი შეცდომები

1. თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის ფორმირება სათავეს მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში იღებს, როდესაც ქართულად ითარგმნა და გამოიცა კარლ მარქსის ცნობილი ნაშრომის, „კაპიტალის“ პირველი ტომი. 1947 წელს კი პირველად გამოიცა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგია აკად. პ. გუგუშვილისა და პ. კუჭაიძის ავტორობით. ამ პერიოდში ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის ფორმირება ხდებოდა გერმანულენოვანი და რუსულენოვანი ეკონომიკური ტერმინების საფუძველზე.

2. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესმა ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის გაფართოების ობიექტური პირობები შექმნა. ეს პერიოდი შეიძლება დავყოთ ორ ეტაპად: მე-20 საუკუნის 90-იანი წლები, როცა ახალი ქართული ეკონომიკური ტერმინები ყალიბდებოდა ძირითადად მაინც რუსული ენის ზეგავლენით (მაგალითად, ინგლისური „Gross Domestic Product“ ქართულად დამკვიდრდა არა როგორც „მთლიანი სამამულო პროდუქტი“, არამედ რუსული „Валовый внутренний продукт“-ის ზეგავლენით როგორც „მთლიანი შიდა პროდუქტი“; საყურადღებოა, რომ მოცემულ ტერმინში „შიდას“ ნაცვლად სჯობია გამოვიყენოთ სიტყვა „შიგა“); 2000-იანი წლები, როცა ქართული ეკონომიკური ტერმინების ფორმირება ხდება უშუალოდ ინგლისური ენის ზეგავლენით, არც თუ იშვიათად, ქართული ტერმინების უხეში „გამოდევნის“ გზით (მაგალითად, ტერმინი „მართვა“ პრაქტიკულად განდევნა ტერმინმა – „მენეჯმენტი“).

3. ახალი ეკონომიკური ტერმინები ხშირად გამოიყენება მცდარად. კერძოდ, ტერმინი „მენეჯერი“ გამოიყენება არა მარტო იმ პირის აღსანიშნავად, რომელიც კომპანიას მართავს, არამედ, მაგალითად, მინისტრის მნიშვნელობითაც. ინგლისურში გამოიყენება ორი ტერმინი – „Manager“ და „Governor“. პირველი არის ის პირი, რომელიც ფირმას მართავს, ხოლო მეორე – ვინც სახელმწიფო უწყებას. იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ქართულში ტერმინი

„მენეჯერი“ დამკვიდრებულად შეიძლება ჩაითვალოს, სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელად უმჯობესია ტერმინი „მმართველი“ გამოვიყენოთ, რომელიც ინგლისური „Governor“ –ის ქართული შესატყვისი ტერმინი იქნება.

4. ახალი ტერმინების ფორმირების პარალელურად გრძელდება ძველი შეცდომები, ქართული ენის მრავალფეროვნების უგულებელყოფა. მაგალითად, ტერმინი „გადასახადი“ გამოიყენება „გადასახდელის“ მნიშვნელობითაც, მაშინ როცა ინგლისურში მკაფიოდ არის გამოიჯნული ტერმინები „Tax“ და „Payment“, ხოლო რუსულში „Налог“ და „Платёж“; ქართულში ტერმინი „ეფექტური“ გამოიყენება „ეფექტიანის“ ნაცვლადაც, მაშინ როცა რუსულში გამოიყენება ორი ტერმინი „Эффективный“ და „Эффектный“. ხდება მცდარი ტერმინებით სწორი ტერმინების ჩანაცვლება (მაგალითად, ტერმინ „მობილორობის“ ნაცვლად გამოიყენება აშკარად გაუგებარი „მობილობა“).

5. ხშირია შეცდომები სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდებისას. კერძოდ, ტერმინ „რიცხვის“ ნაცვლად გამოიყენება – „ციფრი“, ხოლო ტერმინი „პროცენტი“ ტერმინ „პროცენტული პუნქტის“ ნაცვლადაც გამოიყენება (მაგალითად, ფრაზა „10 პროცენტი 7 პროცენტზე 3 პროცენტით მეტია“ მცდარია, უნდა იყოს: „10 პროცენტი 7 პროცენტზე 3 პროცენტული პუნქტით მეტია“).

6. ეკონომიკურ (და არა მარტო ეკონომიკურ) ტერმინებს შეცდომით იყენებენ როგორც პოლიტიკოსები და ჟურნალისტები, ასევე, სამწუხაროდ, თავად ეკონომისტებიც.

7. თანამედროვე ქართული ტერმინების შექმნისა და დამკვიდრების მიზნით მიზანშეწონილია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის როლის გაძლიერება, რისთვისაც აუცილებელია სპეციალური სამთავრობო გადაწყვეტილების მიღება, რომლის საფუძველზეც ინსტიტუტს, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან ერთად, ექნება ტერმინთშემოქმედების ექსკლუზიური უფლება.

8. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბაზაზე უნდა შეიქმნას დარგობრივი ტერმინოლოგიური კომისიები, რომლებიც შესაბამისი დარგის ექსპერტებთან ერთად ამ დარგის ტერმინოლოგიის საკითხებზე იმუშავებენ. ამ კომისიების სათანადო რეკომენდაციები კი ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს უნდა წარედგინოს.



## რუსუდან რამიშვილი

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

### ენობრივი პოლიტიკა ირანში

1. ირანის ისლამური რესპუბლიკა მრავალეროვანი ქვეყანაა. სპარსული ენა მშობლიურია ირანის მოსახლეობის 57%-ისათვის (40 მილიონზე მეტი ადამიანისათვის), დანარჩენი მოსახლეობისათვის (ირანში სახლობს 75 მილიონზე მეტი კაცი) სპარსული მეორე ენაა. მათ შორის არიან როგორც ირანულენოვანი ხალხები (ქურთები, ბელუჯები, ლურები, მაზანდარანელები...), ისე არაირანულენოვნები (აზერბაიჯანელები, თურქმენები, არაბები, ქართველები, სომხები...).

2. ისლამურ რევოლუციამდე ირანში უპირატესობა ენიჭებოდა ევროპულ ენებს, განსაკუთრებით ინგლისურს. 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ ევროპულმა ენებმა ადგილი დაუთმო არაბულს, რომელმაც გაბატონებული ადგილი დაიკავა უცხო ენათა შორის.

3. სპარსული ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. X-XI საუკუნიდან დაწყებული სპარსული ასრულებდა საერთაშორისო ურთიერთობების, კულტურისა და მეცნიერების ენის ფუნქციას აღმოსავლურ ისლამურ სამყაროში. მას დიდი გავლენა ჰქონდა რეგიონის ყველა ენაზე – დაწყებული თურქეთიდან, კავკასიიდან და ყირიმიდან, დამთავრებული ცენტრალური აზიითა და ინდოეთით.

უნდა აღინიშნოს, რომ ისლამურ რევოლუციამდე სპარსული მხოლოდ დე ფაქტო ასრულებდა მრავალნაციონალური ქვეყნის სახელმწიფო ენის ფუნქციას. რევოლუციის შემდგომ პერიოდში გამყარდა სპარსული ენის სტატუსი და ახალი კონსტიტუციის მიხედვით (1979წ.) გამოცხადდა ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო ენად.

4. ბოლო წლების განმავლობაში ირანის ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს სპარსული ენის განვითარებასა და ფუნქციონირებას. ეს არის ირანის სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია სპარსული ენის, როგორც ერთადერთი სახელმწიფო ენის, პოზიციის განმტკიცებისაკენ. სპარსული ენის განვითარება ირანის ხელისუფლების მიერ

მოიაზრება, როგორც ერთ-ერთი ღონისძიება ქვეყნის ერთიანობის შესანარჩუნებლად.

5. რევოლუციის შემდგომ ირანში სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის დაარსება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სპარსული ენის განვითარების ენობრივი პოლიტიკის გატარების დასამკვიდრებლად. აკადემიას, რომელიც ოფიციალურად 1990 წელს დაარსდა კულტურული რევოლუციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მრავალი სამეცნიერო და სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელობა დაეკისრა ამ სფეროში. მისი მთავარი პრინციპია სპარსული ენის განმტკიცება და დაცვა, ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის განვითარება. სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის ძირითადი ამოცანაა სპარსული ენის ლექსიკური შედგენილობის შევსება, პირველ რიგში, ტერმინების ხარჯზე. სპარსულისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სპეციალური ტერმინოლოგიის შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს, ჩაანაცვლოს უცხოენოვანი ნაწესები ტერმინები.

უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიის მიდგომა ტერმინთშემოქმედების მიმართ არაერთგვაროვანია. უცხოენოვან ტერმინთა შეცვლის მომხრეები წინააღმდეგობას ხვდებიან იმ ენათმეცნიერთა მხრიდან, რომელთა აზრითაც, ყველა ნასესხებ ტერმინს არ უნდა ჩაენაცვლოს შესაბამისი სპარსული ვარიანტი. ერთსულოვნება მხოლოდ ევროპული ტერმინების მიმართ დამოკიდებულებაშია, მათ განდევნას ყველა მხარს უჭერს. დასავლეთ ევროპული ლექსიკის მიმართ განსაკუთრებით პრინციპული პოზიცია უკავია ქვეყნის რელიგიურ ლიდერს, აიათოლა ალი ხამენეის, რომელიც მას (დასავლეთ ევროპის ლექსიკის შემოჭრას) «დასავლეთის კულტურული ექსპანსიის» რეციდივად, «თავისებურ შხამად» მიიჩნევს. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს ისლამური საბჭოს კრების გადაწყვეტილება (ირანის პარლამენტისა), რომლითაც 1995 წლის 18 ოქტომბრიდან უნდა აიკრძალოს დასავლეთ ევროპული ლექსიკის გამოყენება სახელმწიფო დაწესებულებებში.

6. ირანის ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს სპარსული ენის გავრცელებას საზღვარგარეთ, რასაც ხელმძღვანელობს სპეციალური სახელმწიფო სტრუქტურა – ისლამური კულტურისა და კავშირის ორგანიზაცია (sazmane farhang va ertebatate eslami). მის შემადგენლობაში შედის საზღვარგარეთ სპარსულის გავრცელების ცენტრი. ამ ცენტრის თანამშრომლები მუშაო-

ბენ სხვადასხვა ქვეყანაში ირანის კულტურულ წარმომადგენლობათა შემადგენლობაში.

სპარსული ენის ფართო პროპაგანდა გაშლილია როგორც ტრადიციულ ისლამურ ქვეყნებში, ასევე იმ ქვეყნებშიც, რომელთაც ირანთან ისტორიული ფესვები აკავშირებთ.

## **მერაბ რობაქიძე**

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

### **საერთაშორისო ტერმინოლოგიის სომხური ეკვივალენტები**

1. სომხურ ენაში უცხო სიტყვების გადმოცემას საკუთარი (ორიგინალური) საშუალებებითა და პრინციპებით დიდი ხნის ისტორია აქვს. საერთაშორისო წარმოების სიტყვების გადმოცემისას, ძირითადად, გამოიყოფა ერთცნებიანი და ორ- ან მეტცნებიანი კომპოზიტები.

2. სომხური ცნებები წარმოიქმნება და შედგება მეტყველების სხვადასხვა ნაწილისგან. შედგენილი საერთაშორისო სიტყვები (კომპოზიტები) იწარმოება ორი ან მეტი ფუძით (ძირით) სომხური კომპოზიტების წარმოების ზოგადი წესების შესაბამისად, კომპოზიტის შემადგენელი წევრები ერთმანეთს უკავშირდება ა მაკავშირებელი ხმოვნით (ფონეტიკური ვარიანტია ე ხმოვანი). გვხვდება უკავშირო შეერთებაც.

3. სხვადასხვა მეტყველების ნაწილებისგან წარმოებული საერთაშორისო ცნებები გასომხურებულია სხვადასხვა პრინციპის შესაბამისად. ძირითადია შინაარსობრივი პრინციპი.

4. კომპოზიტებში სხვადასხვა მეტყველების ნაწილების მონაწილეობის თვალსაზრისით მრავალფეროვანი სურათი წარმოგვიდგება: ა) ზმნის ძირი + არსებითი, ბ) არსებითი + არსებითი, გ) ზედსართვი + არსებითი დ) ნაცვალსახელი + არსებითი და სხვ.

5. საერთაშორისო სიტყვების წარმოებისას გამოიყენება სომხური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები (ძირები, ძირები + მაწარმოებლები, კომპოზიტები).

6. საერთაშორისო ტერმინოლოგიური სიტყვათქმნადობა შეეხება მე-

ცნიერებისა და სხვა ხასიათის დარგებს: ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო, სამედიცინო, პოლიტიკურ, სპორტულ და სხვ.

7. მეცნიერული შინაარსის არსებითი სახელის აბსტრაქტული ტერმინების წარმოებისას გამოიყენება მაწარმოებლები: *ნიქონს*, *ნილ(ობა, ება)*, *ქანონიქონს* (მეტყველება), *ეჩიონიქონს* (მცოდნეობა), *ნიქიას* (ლოგია).

8. ქართულ ენაში გამოიყენებულ უთარგმნელად დატოვებულ საერთაშორისო სიტყვებს ხშირად შეესაბამება საერთაშორისო სიტყვების სომხური შესატყვისები.

9. ქართულ ენაზე შექმნილ სპორტულ ტერმინებს არ მოეპოვება სომხური წარმოების შესატყვისები (უთარგმნელადაა დატოვებული საერთაშორისო უცხოური ეკვივალენტები): ფეხბურთი, კალათბურთი, წყალბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, ხელბურთი...

10. მთელ რიგ შემთხვევებში სომხურად წარმოებული საერთაშორისო ტერმინების გვერდით გამოიყენება მათი უცხოური „დედანი“ სიტყვებიც (ლექსიკონებში მითითებულია).

11. მიუხედავად იმისა, რომ სომხურს ორიგინალური საერთაშორისო ტერმინების სიტყვაქმნადობის მდიდარი ტრადიცია აქვს, არცთუ იშვიათად სიტყვები უთარგმნელადაა დატოვებული.

12. გვაქვს შემთხვევები, როცა სომხურში გვხვდება ფრანგული (გამოთქმის) ფორმით დამკვიდრებული საერთაშორისო სიტყვები – *აჟიძე* [სფუჟე] „სიუჟეტი“ შიუზჰე, კონფერენცია *კინჰეჟასია* ჩონფერენცე .

## გიორგი სარაჯიშვილი

### მათემატიკურ ტერმინთა შექმნის ისტორია

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ინტენსიური მუშაობა გაჩაღდა როგორც კრებსითი ტექნიკური ტერმინოლოგიის, ისე ცალკეული დარგების ტერმინთა შექმნისათვის.

მოხსენებაში დაწვრილებით არის განხილული პირველ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში წარმოდგენილი მათემატიკური ტერმინები და ის პრინციპები, რომ-

ლებსაც მუშა ჯგუფი ეფუძნებოდა. მათი ამოსავალი სამეცნიერო ენის გაეროვნულება იყო. პირველ „რუსულ-ქართული ტექნიკურ ლექსიკონში“ გამოყენებულია ს.ს. ორბელიანის, რ. ერისთავის, დ. ჩუბინაშვილის, კ. ყიფიანის ლექსიკონები, ძველი სამეცნიერო ენის ნიმუშები (იოანე პეტრიწი და სხვ.), ხალხური კილოკავები, ძველი მწერლობის ძეგლები, სასულიერო წიგნები. მაგალითად: ტერმინ *Линия*-ს იოანე პეტრიწის მიერ ხმარებული სახელი წირი უწოდეს, *Поверхность*-ს -ფართეული, *Квадрат*-ისათვის შემოიღეს წესფართი და ა. შ., ერთეულის ნაწილებს სახელები შეუმოკლეს: მესამედს უწოდეს სამედი, მეოთხედს კი – ოთხედი. ლექსიკონის შემდგენლებს განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ ტერმინ „ალგებრის“ შესახებაც.

მიუხედავად ამგვარი შრომისა, პირველ ტექნიკურ ტერმინოლოგიას გამოქვეყნების დღიდან დიდხანს არ უარსებია. ის დაიწუნეს და ხმარებიდან ამოიღეს.

შემდგენელი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. მათ მიერ შექმნილი არაერთი ტერმინი დღესაც აქტიურად გამოიყენება მათემატიკის სხვადასხვა დარგში.

## **რევაზ სვანიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## **რატი სხირტლაძე, ალექსანდრე ღლონტი**

ენის მოდელირების ასოციაცია

## **კავშირგაბმულობის ინგლისურ- რუსულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი**

კავშირგაბმულობის დარგში თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მზარდი განვითარების პროცესში ლექსიკონის საჭიროება სრულიად ცხადია და დარგის განვითარების ობიექტური მოთხოვნებით არის განპირობებული. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ქართული ტექნიკური აზროვნება და აქედან გამომდინარე, ტექნიკური და ტექნოლოგიური ტერმინები მნიშვნელოვანწილად

დაკავშირებული იყო რუსულ სივრცესთან და რუსულ ტერმინებთან, მაგრამ უკანასკნელ წლებში მდგომარეობა სრულიად შეიცვალა: კავშირგაბმულობის ტექნიკისა და ტექნოლოგიების ახალი სახეობები, ძირითადად, დასავლეთის (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ფინეთი და სხვა) და აზიის (იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა) ქვეყნებში იწარმოება და მათი დასახელებები და ტერმინებიც ინგლისურენოვანია, ხოლო საქართველოში 20-40 წლის წინ გამოცემული კავშირგაბმულობის ტერმინოლოგიური ლექსიკონები მოძველდა და აუცილებელი გახდა ლექსიკონის შექმნა კავშირგაბმულობის ისეთ მიმართულებებში, როგორებიცაა: მობილური კავშირი, ინტერნეტი, ბოჭკოვან-ოპტიკური, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ტელერადიომუწყებლობა და ა.შ. ამავე დროს საქართველოს კავშირგაბმულობის დღევანდელი ქსელები (განსაკუთრებით ფიქსირებული, მაგისტრალური), ტელერადიოსამაუწყებლო ტექნოლოგიები ჯერ კიდევ რუსული წარმოებისაა, რომ არაფერი ვთქვათ, ამ ქსელების გაყვანის, აპარატურის მონტაჟის ნორმებსა და წესებზე. ასევე, უკანასკნელ ათწლეულში კავშირგაბმულობისა და გამოთვლითი ტექნიკის შერწყმის გამო წარმოიშვა მრავალი საერთო ტერმინი; ბუნებრივია, ლექსიკონში აუცილებელია ასეთი ტერმინების ასახვაც.

კავშირგაბმულობის შემუშავებული ტერმინების სამენოვანი – ინგლისურ-ქართულ – რუსული და ქართულ-ინგლისურ-რუსული – განმარტებითი ლექსიკონი ამ ეტაპზე მოიცავს 8500-მდე ტერმინს და განმარტებას: ტელეკომუნიკაციის სადენიანი, უსადენო, მობილური კავშირის, რადიოტექნიკის, ინტერნეტის, საკომუნიკაციო-საინფორმაციო ტექნოლოგიების, კავშირგაბმულობის დარგში სტანდარტიზაციის, სერტიფიცირებისა და მეტროლოგიის, ციფრული კავშირის, გადაცემის ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემების, ინფორმატიკის, საკანონმდებლო, ეკონომიკური და სხვა მიმართულებით.

ლექსიკონი, გარკვეულწილად, საცნობარო ხასიათისაა (არსებული სიტყვების ფარგლებში), მრავალი სიტყვა და ტერმინი საკმაოდ ვრცლად არის განმარტებული. ლექსიკონით სარგებლობა, მისი დიზაინი (არქიტექტურა) მარტივი და მოხერხებულია. საჭირო სიტყვების მოძებნა შესაძლებელია როგორც ქართული, ისე ინგლისური ტერმინის აკრეფით. ასევე – ტერმინების და მათი განმარტებების ძიება ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო დოკუმენტები; 2012 წლის 7 მარტის ევროპარლამენტის დირექტივა 2002/21EC; სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ევროპული

ინსტიტუტის ტერმინები (ETSI); ადგილობრივი კავშირის სატელეფონო ქსელები და ა.შ. ამავე დროს შესაძლებელია ინფორმაციის მიღება მოძებნილი ტერმინის წყაროს შესახებ.

განმარტებითი ლექსიკონის საბოლოო ვერსიის დადგენისას აუცილებელია ენათმეცნიერთა ჩართვა და ერთობლივი მუშაობა.

ვფიქრობთ, რომ ლექსიკონი სასარგებლო იქნება საზოგადოების ფართო წრისათვის, კავშირგაბმულობის დარგით დაინტერესებული ახალგაზრდობის, ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პროფესორ-მააწავლებლების, შესაბამის დარგებში მომუშავე სატელეკომუნიკაციო კომპანიების მენეჯერებისა და სპეციალისტებისათვის.

ლექსიკონი განთავსებულია საიტზე <http://www.ena.ge/gncc-online2>

## **ნანა ტონია**

თსუ კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკისა ინსტიტუტი

## **ანტიკური ხანის საკუთარი სახელები ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში**

ანტიკური ხანის საკუთარ სახელთა ქართულად გადმოტანის კანონზომიერებათა დადგენა მნიშვნელოვანია იმ სამეცნიერო და მთარგმნელობითი ხასიათის სამუშაოთა შესასრულებლად, რომელიც მიმდინარეობს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მქონე კლასიკურ ფილოლოგიაში. მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ აუცილებელია გავითვალისწინოთ ევროპული ტრადიცია და სახელები გადმოვიტანოთ სახელობითი ბრუნვის ფორმით; მეორენი ემხრობიან ამ აზრს, მაგრამ გამონაკლისად მიიჩნევენ რა – აც და – იც დაბოლოებიან სახელებს მათი ქართული ჟღერადობის გამო (ისინი ნათესაობითი ბრუნვის ასოციაციას იწვევენ, მაგ.: „ალკიბიადესი“), გვთავაზობენ, მხოლოდ ამ ტიპის სახელები გადმოვიტანოთ ასიგმატურად („ალკიბიადე“); სხვანი გვირჩევენ მივსდიოთ XVIII – XX საუკუნეებში გაკვალულ გზას, როდესაც ანტიკურ სამყაროსთან ზიარება უპირატესად რუსულენოვანი

გზით ხორციელდებოდა, რის შედეგადაც ბერძნულ და ლათინურენოვან სახელთა ფუძისეული ფორმით გადმოღების ტენდენცია დომინირებდა (ჰომერი, არტემიდა, ვენერა და სხვა); არსებობს კიდევ ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი ტრადიცია, რომელიც ბერძენთა და ქართველთა მრავალსაუკუნოვანი უშუალო კონტაქტების შედეგად დამკვიდრდა: საკუთარ სახელთა წოდებითი ბრუნვის ფორმით გადმოტანის წესი (ალექსანდრე, სოკრატე, არისტოტელე), რომელიც სმენით მიღებულ ინფორმაციას ემყარება. მაგრამ აქ გეოგრაფიულ სახელთა წარმოდგენის პრობლემა იჩენს თავს. რა თქმა უნდა, ამ საკითხის უნიფიცირება შეუძლებელია, თუმცა გარკვეული კანონზომიერებების დადგენა, ტრადიციის გათვალისწინებით, აუცილებელია.

### **ლია ქაროსანიძე**

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

### **ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალისდელი დღე**

სახელმწიფო ენის მდგომარეობა უშუალოდაა დამოკიდებული სამეცნიერო ენაზე. სამეცნიერო ენის განვითარება სამეცნიერო წრეების დამსახურებაა, ენის დაცემა – მეცნიერული მუშაობის შესუსტების შედეგი. ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა განსაკუთრებით დააზარალა ქართული ტერმინოლოგიის განვითარება.

ქართულ ტერმინთშემოქმედებას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ეს ისტორია სრულად ჯერჯერობით შესწავლილი არ არის. შესაძლოა, ამიტომაც სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ტერმინთშემოქმედების სკოლების გამოყოფის საკითხიც არასოდეს დასმულა. ჩვენი აზრით, საკუთარი მეცნიერული ხედვისა და მიმართულების განსაზღვრით, ნათლად ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმებით ქართულ ტერმინთშემოქმედებაში თამამად შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი განსხვავებული სკოლა:

1. მე-10-მე-12 საუკუნეებისა;
2. ილია ჭავჭავაძისა და მის თანამედროვეთა;
3. ე.წ. სიტყვარისტებისა;



4. საბჭოთა პერიოდისა.

როგორი უნდა იყოს ქართული დარგობრივი ტერმინოლოგია:

მხოლოდ ქართული, ქართულიც და ინტერნაციონალურიც თუ მხოლოდ ინტერნაციონალური? - ეს არის ის უმთავრესი საკითხი, რომლის შესახებ დავა იყო და იქნება მომავალშიც. მთავარი ისაა, რომელმა რა შედეგი მოუტანა ქართულ ენას. რომელი გზა იყო გამართლებული, რომელი - გაუმართლებელი. დღეს ამ საკითხის კვლევა და გარკვეული დასკვნების გაკეთება ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის შესწავლით სავსებით შესაძლებელია.

თითქმის ყველა, ვისაც ქართულ ტერმინოლოგიაში უმუშავია, ერთ რამეზე თანხმდება: მე-10 -მე-12 საუკუნეების ქართული ტერმინთშემოქმედება ჩვენს დროისაზე წინწასულია და ამდენი ხნის სიშორის მიუხედავად ბევრ რამეს გვასწავლის. ეს პერიოდი სწორედ იმით არის გამორჩეული, რომ მთელი ევროპული კულტურის, მეცნიერების, ტერმინოლოგიის საფუძვლად აღიარებული ბიზანტიური კულტურა ქართველმა მთარგმნელებმა ისე გადმოიღეს, ქართული ენის ბუნება არასოდეს დავიწყებიათ. ამ დროიდან იწყება ქართული ენის საკითხების კვლევა, ქართული სამეცნიერო ენის განვითარება, თუმცა იმავე მიმართულების „სიტყვარისტების“ (მე-20 საუკუნის დასაწყისი) მოღვაწეობა კრიტიკის საგნად იქცა ქართულ მეცნიერებაში სწორედ ამ „ზედმეტად ქართული“ ტერმინების გამო. ჩვენი აზრით, ამისი მიზეზი მხოლოდ საბჭოთა ეპოქა იყო. როგორც ვუკოლ ბერიძე წერდა 1935 წლის ტექნიკური ტერმინოლოგიის შესავალში : „სატერმინოლოგიო კომიტეტს თავის მუშაობაში იმთავითვე (1926 წ.) სახელმძღვანელო პრინციპად ჰქონდა ეს თვალსაზრისი: ინტერნაციონალური ტერმინების თარგმნა საჭირო არაა, უცხოური ტერმინების შემოტანა უფრო ამდიდრებს ქართულს ენას, ვინემ მისი თარგმნა. ამხ. ფილიპე მახარაძეს არაერთხელ მიუქცევია ყურადღება, რომ არაფერს მატებს ქართულს და უარსაყოფია ისეთი ხელოვნურად შექმნილი ტერმინები, როგორებიცაა: ბანჭვინი (ბენზინი), ძალარი (სპირტი), მენაკი (გრადუსი), თანწყობა (სისტემა) და სხვა ამგვარი“, მაგრამ მიუხედავად საბჭოთა წნეხისა, ამ ეპოქაში განსხვავებულად გაგრძელდა ქართული ტერმინთშემოქმედება. როგორც კი საშუალებას ნახავდნენ, ქართულ საქმეს აკეთებდნენ დიდი ქართველი მეცნიერები, თანაც თითქოს მიგვანიშნებდნენ კიდევ ამაზე. 1952 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ვუკოლ ბერიძემ ასე შეაფასა ძველი ქართული ტერმინთშემოქმედება: „პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი წინაპარნი - გიორგი მთაწმინდელი, ევრემ მცირე, იოანე პეტრიწი - გვჯობდნენ: ისინი ცდილობდნენ მეტ-ნაკლებად მშობლიური, ქართული ტერმინები დაედგინათ“ -

ვფიქრობთ, ამ სიტყვებში იკვეთება მისი თვალსაზრისი ქართული ტერმინების ხასიათის შესახებ .

ფილიპე მახარაძის ბრძანების მიუხედავად, ამ პერიოდში გამოსულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ინტერნაციონალურ ტერმინებს გვერდით ქართულიც უწერია. ვუკოლ ბერიძის მკაფიოდ გამოხატული პოზიცია ქართული ტერმინთშემოქმედების მიმართულების შესახებ სხვაგანაც ჩანს: „თუ ინტერნაციონალურ ტერმინს ქართულ ხალხურ სასაუბრო ენაში გააჩნია თავისი პარალელი, ჩვენც უთუოდ უნდა შემოვიღოთ იმ ვარაუდით, რომ ახლო მომავალში უცხო ტერმინი მოიხსნება და მარტო მშობლიური დარჩება სახმარებლად“. ეს მიმართულება კიდევ უფრო გამოკვეთა როგნედა ღამბაშიძემ. შესანიშნავმა მეცნიერმა, ტერმინოლოგმა, რომელმაც ქართულ ტერმინოლოგიას ნამდვილი სამეცნიერო კვლევითი ბაზები შეუქმნა მომავლისთვის. მის მიერ დასახული ტერმინოლოგიური მუშაობის წყობა ასეთი იყო:

1. ძველი ქართული ტერმინოლოგიის შესწავლა;
2. ქართულ დიალექტებში დადასტურებული ტერმინების შეკრება;
3. მთელი რიგი ტერმინოლოგიური საკითხების საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა ;

დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნისათვის საჭირო მეცნიერული ბაზის მქონე ენათმეცნიერების ინტიტუტი წარმატებით მართავდა მთელი 50 წლის განმავლობაში ტერმინოლოგიურ პოლიტიკას საქართველოში. ინსტიტუტში მიმდინარე ლექსიკოგრაფიული მუშაობა ერთ პრინციპს ემყარებოდა: ნებისმიერი სახის ლექსიკონი – განმარტებითი, მთარგმნელობითი თუ ტერმინოლოგიური – მთელი ინსტიტუტის საქმედ იყო ქცეული. თანხმდებოდნენ და ადგენდნენ ტერმინებს, რომლებიც ერთნაირად აისახებოდა ყველა სახის ლექსიკონში. დარგის სპეციალისტებს ენათმეცნიერების ინსტიტუტისთვის უნდა მიემართა ნორმატიული, ანუ ერთობლივი მუშაობით დადგენილი და ყველასათვის სავალდებულო, ლექსიკონის შესაქმნელად. ასეთი ერთობლივი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ იმ დროს არ იყო ტერმინოლოგიური არევ-დარევა, სიჭრელე ქართულში. სწორედ საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ქართველმა ტერმინოლოგებმა გამოკვეთეს საბოლოოდ ის ერთადერთი სწორი , ნამდვილი ტერმინოლოგიური პოლიტიკა ქვეყანაში: ტერმინოლოგიური ცენტრის მიერ მართული, სამეცნიერო კვლევებზე, ისტორიაზე დაფუძნებული ტერმინთშემოქმედება.

რას აკეთებს დღევანდელი ქართული სამეცნიერო საზოგადოება მომავლისთვის. რა ენით საუბრობს, რას ამკვიდრებს, რომელი მიმართულების მომხრეა?

უცხო სიტყვების მოჭარბება ქართულში ქვეყნის პოლიტიკურ სისუსტეს უკავშირდებოდა ისტორიის განმავლობაში: ასე შემოიჭრა სპარსულ-თურქული ლექსიკა, ასე გაივსო რუსული ბარბარიზმებით ქართული. თუ რა შეუძლია საზოგადოებას ენის გადასარჩენად, ამის შესანიშნავი მაგალითია ილია ჭავჭავაძისა და მის თანამედროვეთა მოღვაწეობა. ალბათ, მაშინ ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ თითქმის გაუქმებული ქართული ენა გაცოცხლდებოდა და მომავალ თაობებს საშუალება ექნებოდა გამოეცათ სახელმძღვანელოები ქართულად.

მე-20 საუკუნის მიწურულიდან დღემდე საქართველოში ტერმინთშემოქმედება თვითნებურად მიმდინარეობს. არ არსებობს თანამედროვე ტერმინოლოგიური ნორმატიული ლექსიკონები. დაიკარგა ცნება ბარბარიზმისა, დღეს თითქმის ყველა სიტყვა საერთაშორისოდაა მიჩნეული. განუკითხავად, სამეცნიერო წრეებისაგან უმართავად მიმდინარე ტერმინთშემოქმედება, უცხო სიტყვების გაუგონარი მოჭარბება საფრთხეს უქმნის სპარსულ-თურქულ-რუსულ ენობრივ იერიშს გადარჩენილ ქართულ სიტყვათა მარაგს. ჩვენ თვალწინ იცვლება, უცხო და არაბუნებრივი ხდება ქართული ენა. ამის შესახებ ბევრი საუბრობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა თავისებურად და მარტო ცდილობს ამ სირთულის მოგვარებას. დღევანდელ ქართული საზოგადოება ამ საქმის გარშემო გაერთიანებული არ არის. გათითოვებული საზოგადოება კი ენის გადარჩენას ვერ შეძლებს. ტერმინთშემოქმედება საზოგადო საქმეა და არა - კერძო.

ქართული სკოლების მიერ უკვე დასახული გზებიდან გადახვევა და რაღაც ახლის და უჩვეულოს გამოგონება, ვფიქრობთ, საჭირო არ არის. ძველ მემკვიდრეობითობაზე აგებული სიახლე - ეს არის ქართული ტერმინთშემოქმედების დღევანდელი გზაც. როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა: “ჩვენ ხომ ველურები არა ვართ, რომ ყოველი საქმე მუდამ თავიდან დავიწყოთ და წინაპართა ნამუშევარს ზურგი შევაქციოთ“. ქართული ენის მომავალზე დღევანდელი სამეცნიერო წრეები არიან პასუხიმგებელნი. დაგეგმილი, მართული, მეცნიერულად განსაზღვრული ტერმინოლოგიური მუშაობის აღდგენა გადაუდებელ ამოცანად უნდა ექცეს დაუყონებლივ დღევანდელ მოაზროვნე ნაწილს საზოგადოებისას, რადგან ხვალ, შესაძლოა, ყველაფერი დაგვიანებული აღმოჩნდეს.

## ომარ მაგნიძე

თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

### ქართული მათემატიკური ტერმინების ფორმირების ისტორიისთვის

იოსებ ავალიშვილი თავისი წიგნის წინასიტყვაობაში „მათემატიკური ტერმინები“ (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული, 1917) აღნიშნავს: „მე მგონი არ არის ისეთი კუთხე ქვეყნისა, სადაც კმაყოფილი იყვნენ საგნების სწავლების კარგად დაყენებისა. ეს უკმაყოფილება გამოწვეულია იმით, რომ ყველგან ცხოვრების ევოლუციამ უსწრო პედაგოგიის ევოლუციას. ამ მხრივ ჩვენში უარესი მდგომარეობაა, რადგანაც ჩვენ იმის უფლებაც არ გვქონდა, რომ საგნები ქართულ ენაზე გვესწავლებინა. თითქმის სულ ახლათ უნდა დავამუშაოთ-შევქმნათ სახელმძღვანელოები, სასწავლი წიგნები, თვალსაჩინო ხელსაწყოები და სხვა. დამუშავება-შეთხზვა წიგნებისა უქმად ჩაივლის, თუ საჭირო ტერმინები ეხლავე არ დავამუშავებთ. ტერმინების დამუშავება გაგვიადვილდება, თუ წარსულს არ დავივიწყებთ“.

მწირი ინფორმაცია იმათ შესახებ, ვინც „წარსულის არ დავიწყებაში“ იგულისხმა ბატონმა იოსებ ავალიშვილმა:

რაჟდენ სოლომონის ძე ჯაჯანაშვილი (1853-1899), რომელმაც გამოსცა სასკოლო სახელმძღვანელოები: 1) „კრებული არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი მაგალითებისა“, თბილისი, 1886, 1888, 1895, 1900, 1903; 2) „მეგობარი, მეორე წიგნი ანბანის შემდეგ“, თბილისი, 1889. მანვე დაბეჭდა 20 წერილი გაზეთებში „დროება“, „კვალი“ და „ივერია“. ეს სიტყვები ემსახურებოდა სახალხო განათლების გაუმჯობესების საქმეს. ცნობილია მისი გამოწვევით „მასწავლებელი არის დედა-ბოძი, რომელზეც დამყარებულია ხალხის გონებითი და ზნეობითი კეთილდღეობა“.

ტ. ხუნდაძის წერილში „ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან“ (გაზეთი „საპოვნელა“, №1, 2005წ., გვ.12) ვკითხულობთ „ვ. ყიფიანმა შეადგინა ქართულ ენაზე „დაწყებითი ალგებრა“, რომელიც გამოდიოდა 1893 წლიდან; 1919 წელს გამოქვეყნდა ალ. ჯანელიძის „დაწყებითი ფიზიკა“, ხოლო ნიკ. შარაბიძემ 1918 წელს გამოსცა „ქართულ ეროვნულ სამხმოვან სიმღერათა კრებული, ნოტების მოკლე განმარტებითურთ“.

ე. ხრამელაშვილმა გამოსცა „არითმეტიკის სახელმძღვანელო“, „არითმეტიკულ ამოცანათა და რიცხვითი მაგალითების კრებული“, ნაწილი I და II.

ვ. რცხილაძემ დაბეჭდა „კრებული არითმეტიკულის ამოცანების“, II ნაწილი.

მ. ზ. ყიფიანმა გამოსცა „არითმეტიკა სახელმძღვანელოდ სოფლის მასწავლებელთათვის“.

გამოიცა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიასთან არსებული კომისიის შემუშავებული ტერმინები და ანტონ კათალიკოსის „შემოკლებული ფიზიკა“.

1920 წელს გამოიცა საქართველოს „ტექნიკური საზოგადოების სატერმინო სექციის“ მიერ შედგენილი „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი“ (სატერმინო სექციის თავჯდომარე ინჟ. ვასილ კაკაბაძე).

1925 წელს ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობამ დაბეჭდა „მათემატიკური ტერმინები“, რომლის ანოტაციაში ცენტრალური სატერმინოლოგიო კომიტეტი წერს, რომ სამზადისი „მათემატიკური ტერმინების“ შექმნისა და ჩამოყალიბებისათვის დაიწყო განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენში სკოლის გაეროვნება მოხდა“.

1925 წელს პროფესორ ნიკოლოზ მუსხელიშვილის, დოცენტ გიორგი ნიკოლაძის და დოცენტ არჩილ ხარაძის ავტორობით გამოიცა „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი“.

1917 და 1925 წლებში გამოცემული სამივე წიგნის ავტორებს ჰქონდათ ძალიან ბუნებრივი მიდგომა საკითხისადმი: რუსული ტერმინის შინაარსი უნდა გაქართულდეს (მაგალითად, площадь უნდა ითარგმნოს როგორც ფართობი და არა როგორც მოედანი).

აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის ენის ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებამ პროფესორ ვუკოლ ბერიძის რედაქციით 1944 წელს გამოსცა „მათემატიკური ტერმინოლოგია“, რომელშიც უკუგდებულ იქნა წინა სამი ლექსიკონის „მოჭარბებული“ ქართულობა. მოჭარბებული ქართულის მიუღებლობა ჩამოყალიბდა საკავშირო სტანდარტით.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარდა მათემატიკის მრავალი დარგი და უცხოურ ენებზე გაჩნდა უამრავი ახალი ტერმინი, რამაც გამოიწვია შესაბამისი ქართული ტერმინების მოძებნის აუცილებლობა. ასეთი მუშაობა დაიწყო 1963 წელს აკადემიკოს გიორგი ჭოდოშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემა-

ტიკის ინსტიტუტის ბაზაზე. საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით, უნდა შექმნილიყო ტერმინოლოგიური კომისიები მათემატიკასა და ეკონომიკაში.

მათემატიკის ტერმინოლოგიურმა კომისიამ აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის (1914-1998) დაუღალავი ხელმძღვანელობით მუშაობა დაასრულა 1996 წელს. საქმის დასრულებამდე კომისიას გამოაკლდნენ მისი აქტიური წევრები გივი თევზაძე (1919-1985), გურამ სულხანიშვილი (1933-1986) და რამაზ აბდულაევი (1936-2004).

ფინანსების უქონლობის გამო მათემატიკის ტერმინოლოგიური კომისიის მრავალწლიანი მუშაობის შედეგი „რუსულ-ქართული მათემატიკური ლექსიკონი“, რომლის ავტორები არიან გიორგი ჭოლოშვილი, გივი თევზაძე, გურამ სულხანიშვილი, რამაზ აბდულაევი, ომარ ძაგნიძე და ადა მიჩიტაშვილი, დიდხანს იდო თაროზე. მისი გამოქვეყნება მოხერხდა მხოლოდ 2010 წელს და ისიც კერძო პირის, შოთა რუსთაველის ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორ შოთა მახარაძის ფინანსური თანადგომით, რისთვისაც ის უეჭველად იმსახურებს მხურვალე მადლობას.

ამ 459-გვერდიან ლექსიკონში მრავლად არის ახალი ტერმინი და გარდა ამისა, დაზუსტებული და ქართული ენის ნორმების მიხედვითაა გამართული ბევრი ძველი ტერმინი.

## **ნინელი ჭოხონელიძე**

ოსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

## **ზოგი ძველი ნასესხები სამედიცინო ტერმინის ისტორიისათვის**

თანამედროვე ქართულსა და მის დიალექტებში სხვადასხვა ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებით უხვად დასტურდება ძველი სამედიცინო ტერმინები, რიგ შემთხვევაში კი ისინი იდიომის შემადგენელ ნაწილადაა თუ გვევლინება.

**დამალი** (არ. დამალ) – სასა პირის ღრუს უკანა კედელი. მაგრა თუ კაცი ბევრსა დაიძინებს, **დამალსა** და ტანს დაუმძიმებს (<<იადიგარ დაუდი>>). **დამალი** დასტურდება თანამედროვე ქართულშიც. **დამალი** ცხენის ავადმყოფობა (ფშ. ხორნ.)

ქიზიყურში, ჩვენებურების ქართულში, ჯავახურში, იმერულსა და გურულში კი შემდეგი ფონეტიკური ცვლილებით იხმარება: **ტამალი**, **ტაბალი**, **ტაბახი**., **ტაბახტა**. შდრ. ასევე მეგრ. **ტამალი** ტაბასტა (მეგრ. ქობ.).

**დუბელი** || **დუბელა**: ძველ ქართულში „ციებ-ცხელების“ აღმნიშვნელად სიტყვა **დუბელი** დასტურდება. შთავარდა იგი სენსა **დუბელისასა** (A=1103 169r 30 –31b) – ი. აბულაძე.

და წაეკიდების კულა თირკმელთა **დუბელა**, და ჰქუიან სნება ჭურჭლისა (<<სამკურნალო წიგნი, კარაბადინი>>). ქეგლში დურბელი მიჩნეულია კუთხურად (იმ., რაჭ.) და განმარტებულია, როგორც (კისრის) ჯირკვლების ჭლექი. **დურბელი** კანის კიბო, მჭამელი, ცუდი ნაფურთხი „დურბელი“ ავადმყოფობა (სვან. ლიპარტ.). **დრუბელა** დურბელა (მეგრ. ქობ.).

**ვასვასა**: **ვასვასა** (არ. ვასვასა – ცთომა) – აქ კი ტვინის ავადმყოფობა – მძიმე ფიქრებით შეპყრობა. ვასვასა რომელ არს სიცოფე და სხვანიცა რამე უცხონი და საკურველნი საღმობანი (<<უსწორო კარაბადინი>>). **ვასვასი** ცახცახი, კანკალი. „ცხორს შიმშილისაგან ვასვასი გაჰქონდა“ (მოხ. ქავთ.).

**ილაო**: **ილაო** სენი არს უპეს ზეით წელის ნასკულობითა; ილაო გამოითარგმანების: ღ~თო შემიწყალე; ზოგნი სახელ-სდებენ მყრალად და ზოგნი ჰას(ა), და იტყვიან სიძნელით ტკივილსა მისსა ნაწლავის გამოსკვნისათვის. სენი კოლინჯი (საბა).

**ილაუზ** ან **ილეუს** იგივე **ილაო** – ჭიპის ზედა (ჭიპს ზეით) ნაწლავის გამოსკვნა. **ილაუსი** ერგების მას კაცსა, რომელი ათხევდეს მისა პატრონსა, და სახელ-სდებენ მას **ილაუსი**, და ერგების ყოველსა ტკივილსა გუამისასა (<<სამკურნალო წიგნი, კარაბადინი>>). **ილაო** ძვ. ავადმყოფობა – ნაწლავის გადანასკვა (საბა). **ილა** ნაკლი, ზადი (ქართლ. ლექსიკ.).

**იარაყანი** (არ. ერაყან) ერაყანი, სიყვითლე. ავადმყოფობაა, სიყვითლე. ხაჭო მხურვალსა ცხელებასა, სნებასა, ხაფაყანსა და **იარაყნებსა**, და ყოვლისა ფერისა მხურვლის სენისა და ავად ყოფისათვის კარგი არის (<<იადიგარ დაუდი>>). **ვარაყანი** ძვ. სიყვითლე. || სიბრაზისა ან შეკრთომისაგან ფერის შეცვლა – ქეგლ. **ვარაყანი**, **არაყანი** სიყვითლე; სიბრაზისა ან შეკრთომისაგან

ფერის შეცვლა (ქიზ. მენტ.). **ერეყანი** 1. ავადმყოფობა; 2. გაუმაძღრობა (ლექს. ალავ.).

**სილი** (არ. სილ) ჭლეტი. „ფილტვისა სიწყლულე“. **სილი** ამას ჰქვიათ რომე, კაცსა ხუელა დასძულებოდეს და დუქსა სისხლსა ატანდეს (<<იადი-გარ დაუდი>>). **სილიანი** ჭლეტიანი. „აი, შე სილიანო“ (სილი ცალკე არ იხმარება) (ქიზ. მენტ.). **სილი-სილი** გასახელებლად ეტყვიან ბავშვები ერთიმეორეს, ნიშნს უგებენ და თან საჩვენებელ თითებს უსვამენ ერთმანეთზე. „სილი, სილი, ხო ვერ დამეწიე (იმ. გაჩ.).

**ფილენჯი** [არაბ. ფალაჯ „დამბლა“] „სენია დამგრეხელი“ – საბა. **ფილენჯს** შიაქს, ხელფეხისა და თავის თრთოლას მოგურის (<<იადიგარ დაუდი>>). **ფელენჯი** წამალი რომელი ერგების **ფელენჯსა** (<<სამკურნალო წიგნი, კარაბადინი>>). **ფილენჯიანი** ფილენჯით (ფილენჯის ქარებით) დაავადებული. შეპყრობილი. **ფილინჯებიანი** გადატ. გრძნეული, ჯადოსანი (ქართლ. ლექსიკ.).

**ფილენჯი** ფილენჯი (მეგრ. ქობ.). **ფელინჯ** ბზ., **ფელენჯ** ბქ., **ფილენჯ** ლშბ. 1 კრუნჩხვა; ფილენჯი (სვან. თოფ., ქალდ.).

**ყოლინჯი** \\**კოლინჯი**: „**კოლინჯი** (ბერძულად ამას იტყუის „ლ~თო შეიწყალე“). **ყოლინჯი** (სპ. ყოლინჯ) თიაქარი ან მჭვალი, კოლიტი. აწე **ყოლინჯი** ისი სენი არის, რომე ქართველნი უჩუხსა და თიაქარსა ვეძახით, რომე კაცსა მეტის მეტად მუცელშიგა შეჰკრავს და წელი და წელები ასტკივდებიან (<<იადიგარ დაუდი>>). რა კაცსა **კოლინჯი** დაემართების, ნიშანი ესე არის მუცელშიგან შეკრას და წელი ასტკივდეს (<<უსწორო კარაბადინი>>). **კოლინჯი** დასტურდება ქიზიყურსა (მენტ.), და ზემოიმერულში (მოწ.).

**შირიმი** \\**შირემი**: ვისცა თირკუმელი და ბატარა მუცელი სტკიოდეს, **შირიმისა** ნიშანი არის (<<სამკურნალო წიგნი, კარაბადინი>>). და თუ შესუსტეს სკუნტლი მისი ლობანსა თანა და თაფლისა ღუინოსა, გამოიღოს **შირემი** (<<სამკურნალო წიგნი, კარაბადინი>>).

**შირიმი** 1. ძვ. „ბუმტისა და თირკმლის ქვა“ (საბა). დასტურდება ქართლურსა და ხევსურულში (ქართლ. ლექსიკ., ხევს. ჭინჭ.). **შირიმის ქვა** ერთგვარი ქვა, რბილი ა. შანიძე). **შირიმი** კირნარევი ქვა, კირქვა (თუშ. ხუბ.). შირი დანაშრევი, ნალექი; შარდის კენჭი; შირიმი; ხაშური (ქვევრისა) (მეგრ. ქობ.).

**ხუნაყი** \\**ხენიკი**: **ხუნაგი** (არაბ. ხუნაგი) ხუნაგი სასის გასივება ნ. და დ. ჩუბინაშვილები.



ისრევე ყელის ტკივილი და **ხუნაყი** არის სიცხისა და სიმზურვალისა-გან (<<იადიგარ დაუდი>>). **ხვენიკი** „სალმობა მარჩობელი ყიისა“ ნიშანი ღარღარისა სხუისა, ერგების რომელთა შეედვას **ხვენიკი**, რომელ არს სა-ლმობა მარჩობელი ყიისა“ (<<სამკურნალო წიგნი, კარაბადინი>>). დიალექ-ტებში როგორც სალიტერატურო ქართულში დასტურდება როგორც **ხუნაგი** (მესხ. ფეიქრ.), ისე **ხუხუნაკი** (ქიზ. მენთ.), **ხუნაკ** (ინგ. ღამბ.) ფორმები. შდრ. ასევე **ხურნაკე** ხუნაგი (იგივეა, რაც კისერე) (მეგრ. ქობ.).

დ || ტ, მ || ბ, ხ || ღ, ყ || ხ, კ || ყ და სხვა ფონეტიკური პროცესების შესახებ იხ. ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის თბ., 1964.

### ნინო ჭუმბურიძე

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

### საწყისებით შექმნილი ტერმინოლოგიური შესიტყვებები

ქართულ სალიტერატურო ენაში, განსაკუთრებით მასმედიის ენაში, გა-ხშირდა ზმნების ნაცვლად საწყისების გამოყენება, რაც უცხო ენათა გავლენის შედეგია. ამგვარი ფორმები (გაყიდვაშია, ხმარებაშია, შეხებაშია...) არაერთხელ გამხდარა ენათმეცნიერთა მსჯელობის საგანი.

ბოლო დროს საწყისებით შექმნილი კონსტრუქციები ტერმინოლოგიურ შესიტყვებებადაც იქცა, ეს შესიტყვებები კი ქართულისათვის ხელოვნური და არაბუნებრივია. სინტაგმის წევრები ხშირად არასწორად არის გამოყენებული; ერთსა და იმავე საწყისთან დაკავშირებული სახელები გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით და სხვადასხვა თანდებულით: გენოციდის თემის მოცვა; აც-რების მოცვა 90%-ა; აქვს შემხებლობა; არ არის ინფორმაციის წვდომა; ექნება წვდომა ინფორმაციაზე; მოვლენებთან წვდომა და ა. შ.

რა თქმა უნდა, სამეცნიერო ლიტერატურისა და მასმედიის, ოფიციალურ-საქმიანი ტექსტების ენაში ზოგჯერ პასიური კონსტრუქციების გამოყენებაც აუ-ცილებელია, მაგრამ ეს ფორმები უნდა იყოს სალიტერატურო ენის ნორმების შე-საბამისად გამართული, რასაც ვერ ვიტყვით წარმოდგენილ მაგალითებსა და სხვა მსგავს შემთხვევებზე.

## ნინო ჯორბენაძე

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

### ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისა და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხები (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა)

ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისა და, შესაბამისად, ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბებისთანავე დღის წესრიგში დგება სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისა თუ შემუშავების საკითხები. სხვადასხვა დროს ეს პრობლემა სხვადასხვა გზითა და მასშტაბით გვარდებოდა. ნორმათა დადგენის საქმემ სრულყოფილი სახე „**თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისიის**“ ჩამოყალიბების შემდეგ მიიღო.

დღეს ეს კომისია აღარ არსებობს. შედეგად ბოლო წლების განმავლობაში პრობლემების მთელი რიგი წარმოიშვა:

1. შესაცვლელი და თანამედროვე ქართულ მეტყველებასთან შესაბამისობაშია მოსაყვანი უამრავი **მოდველებული ნორმა**;
2. სწორი ფორმების პარალელურად ბევრი **უმართებულო ვარიანტი** ჩნდება, რომელთა გათვალისწინებაც ყველასთვის სავალდებულო უნდა იყოს;
3. ბოლო წლების განმავლობაში ენაში ურიცხვი (სტატისტიკურად ყველაზე მეტი) უცხო სიტყვა, ტერმინი თუ სიტყვათშეხამება შემოვიდა, რომელთა **მართებული ვარიანტის, ნორმის დადგენა** გადაუდებელი საქმეა;

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გადასამუშავებელია ორთოგრაფიული ლექსიკონი, შესაქმნელია მისი სრულყოფილი ელექტრონული ვერსია (ყველა ფორმა-შესიტყვების – ძველისა თუ ახლის – გათვალისწინებით).

კომისიის არარსებობის გამო ამ პრობლემების გადაჭრა ვერ ხერხდება. მოძველებული და სასაუბრო მეტყველებაში, ფაქტობრივად, „უხმარი“, აშკარად შესაცვლელი ნორმების გამო „სახელი უტყდება“ მთლიანად ორთოგრაფიულ ლექსიკონს. გამოსავალი თითქოს არ ჩანს...

ამ საგანგაშო ვითარების მოსაგვარებლად სასწრაფოდ ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისიის შექმნაა აუცილებელი. დასაშვებია (ვინაიდან პრობ-

---

ლემა გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვს), ამ ეტაპზე ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდეს (რასაკვირველია, კომისიაში მოწვეული სპეციალისტებისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლების ჩართვის პირობით). შემდგომ ეტაპზე, თუკი ამის სურვილი და შესაძლებლობა იქნება, კომისია სხვა, უფრო მაღალ ინსტანციას დაექვემდებარება (რისი პრეცედენტიც საქართველოში წლების მანძილზე არსებობდა).



კონსერვანცია

„ტერმინოლოგია - ქართული ენის სპეციალური დღე“

---

კონსერვანცია

**„ტერმინოლოგია - ქართული ენის სპეციფიკური ზღაპარი“**

---

კონსერვანცია

„ტერმინოლოგია - ქართული ენის სპალინდელი დღე“

---

---

კონსერვანცია

„ტერმინოლოგია - ქართული ენის სპეციალური დღე“

---



კონსერვანცია

„ტერმინოლოგია - ქართული ენის სპალინდელი დღე“

---

---